# თეატრი და ცხოვრება

№ 28 გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

ფასი 20 მანეთი

„თეატრი და ცხოვრება“

წლიურად 500 მან., ნახევარი წლით 300 მან. თითო ნომერი—20 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ქართ. ბეჭდვითი ამხ. სტამბაში, რუსთ. პრ. № 26. წერილები და სხვა ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს თბილისი რედ. „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს.

ტელეფონი № 4—73.

დაარსების წელიწადი მეათე, გამოცემის მერვე

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ. | კვირა, მარიამობისთვის 1 | გამოსვლა 1920 წ.




ივანე პავლეს-ძე როსტომაშვილი

(იხ. ამავე ნომერში 12 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სახელოვნო დღიური

**ბარაქალები**

ნუ გიკვირთ: ამ წოდებით ვგულისხმობ იმ სცენის მოყვარე—მსახიობთ თუ რეჟისორებს, რომელნიც ხელოვნების ან საზოგადოების ვითომ და საკეთილდღეოდ იწურავენ ოფლს: პიესას სდგამენ ხშირად მოუმზადებლად, იშვიათ შემთხვევაში ერთი-ორი რეპეტიციით, და არა თუ თავისს როლებს განიცდიან, არც კი ესმით—რას წარმოადგენენ.

დღეს, როდესაც სახალხო თეატრმა ასე ფრთა გაშალა, დიდ საზოგადოებრივ-კულტურულ ძალად გადიქცა და ბევრს ადგილს უკვე წრეები შესდგა, აუცილებლად საჭიროა სცენის ამ ნაკლს უდიდესი ყურადღება მიექცეს: ნება არ მიეცეს ისეთ რეჟისორს პიესა დასდგას, რომლის მომზადება-შესწავლა თითონაც ვერ მოუსწვრია, სცენაზე არ გამოუშვან ისეთი მსახიობი-- სცენის მოყვარე, რომელსაც არა თუ როლი ვერ შეუსისხლხორცებია, არც კი წაუკითხავს, და საერთოდ სცენას უნდა ჩამოშორდეს ყველა ის ბარაქალა ხალხი, რომელსაც სცენის დიდი მნიშვნელობა ვერ შეუგვნია და ეს უწმიდესი ტაძარი ხელოვნებისა თვის საპირადო მიზანთა ასპარეზად გაუხდია.

ხოლო იმ დრამატიულ წრეებს, რომელთაც გულწრფელად სწამთ ხელოვნების სამსახურით ხალხის აღზრდა— მოვუწოდებთ, ამ თავითვე შეადგინონ შესაფერი დასი, შეიმუშაონ რეპერტუარი და პიესების მზადებასაც შეუდგნენ: მაშინ იგინი უფრო პირნათლად მოიხდიან თავის ვალს.

ყოველი ერთგული მსახური ხელოვნებისა და ჭეშმარიტი რეჟისორი უნდა ცდილობდეს არ წამოეგოს ხელოვნების დამახინჯების ანკესზე...

ნუ ვართ ბარაქალები, ვიყოთ ნამდვილი მოგვები ხელოვნებისა...

**ბათომის სახალხო თეატრი**

ბათომის სახელოვანმა დემოკრატიამ არ უღალატა თავის ტრადიციას და რა წუთს ეს კუთხე— დედის მკერდს დაუბრუნდა, სცენასაც მიხედა—საძირკველი ჩაუყარა სახალხო თეატრს: არჩეულია გამგეობა, შემდგარია სცენის მოყვარეთა წრე, მოწვეულია რეჟისორი, რომელმაც პირველი წარმოდგენა უკვე გამართა.

სცენის მოყვარეთა წრეს ეჭირვება ორიოდე ხელობით მსახიობიც, მსახიობნი კი, როგორც ვუწყით, სახელმწიფო დასში არიან მიწვეულნი.

უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოდ სახალხო თეატრს—პროვინციის სცენას და განსაკუთრებით ბათომის სახალხო თეატრს. მთავრობამ არა თუ ორი-სამი მსახიობი უნდა აახლოს წლიური ჯამაგირით, სუბსიდიაც უნდა აღმოუჩინოს. ხალხის ამაღლება—გაეროიანება მარტო სამარ იარაღით არ შეიძლება, არამედ უმთავრესად ხელოვნებით.

ნუ დავივიწყებთ: „ხმალი იმოდენს ვერა იქმს, რასაც კალმის პატარა წვერიო''!..

ბათომის დემოკრატიამ ჯერ კიდევ ძველად დაამტკიცა თავისი რევოლიუციონერობა, ბოლოს უცხოთა ბატონობის დროს—უდიდესი დისციპლინა—საიდუმლო ორგანიზაციულობა, ახლა უნდა ხელოვნებას ემსახუროს... დაეხმარეთ! ჩვენი ვალია მივეშველოთ...

სალამი და გამარჯვება ბათომის სახალხო წარმოდგენების მმართველ წრეს!..

**სახელოვნო ინსტრუქტორი**

თუმცა ჩვენის ქვეყნის ყველა კუთხეში სცენის მოყვარენი გაჩნდენ, აგერ-იგერ სახალხო თეატრებიც, მაინც ბევრ ადგილას ამ საქმის მსახურნი ისე დაფათურობენ როგორც ბნელში მყოფი გზა-კვალის უცოდინარი: არა თუ შესაფერი რეპერტუარი ვერ უწარმოებიათ, პიესები არა აქვთ, თეატრები საბძლებს მიუგავთ, ან უბრალო ფანაჩტურებს, ზოგან თითქო არავითარი წარმოდგენაც არა აქვთ დეკორაცია—სცენაზე და სხ. არის დაბა-სოფელი, სადაც ადგილობრივ ძალთა დახმარებით ადვილად შეიძლება შესაფერი თეატრის აგება, მაგრამ ამის გზის მაჩვენებელი არ არის.

საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს: სრულიად საქართველოს სახალხო თეატრთა საგანგებო სახელოვნო ინსტრუქტორი დაინიშნოს.

რა უნდა ევალებოდეს ამ ანსტრუქტორს?

**იოსებ იმედაშვილი.**

# ქალაქი და სოფელი

ჩვენი სოფლის ცხოვრება, ქალაქთან შედარებით, იმდენად ჩამორჩენილია, რომ მხოლოდ არაჩვეულებრივ ენერგიულ მუშაობას და თანხას შეუძლიან მისი მოგვარება.

როდესაც გაზით და ელექტრონით გაჩირაღდნებულ, ურიცხვ სასწავლებლებით, თეატრებით, კლუბებით, სინემატოგრაფებით და სხვა გასართობებით სავსე თბილისიდან გადადიხართ 5—6 ვერსის მანძილზე მდებარე სოფელში, გგონიათ, მოხვდით რაღაც უცხო ხალხით დასახლებულ უცხო პლანეტაზე: ტალახიანი ვიწრო მიხვეულ-მოხვეული ქუჩები, ულაზათოთ აშენებული ქოხმახები, დაკონკილ რუსულ ფარაჯაში გახვეული უვიცი გლეხკაცობა,— აი მთელი სურათი ჩვენი სოფლის ცხოვრებისა.

თქვენ გინდათ სოფელში დარჩეთ და იმოღვაწოთ, მაგრამ ეს სურათი გაღონებთ, ძარღვებს გიშლით, სულს გიშფოთებთ და მიექანებით ქალაქისაკენ.

და რჩება სოფელი ტალახიან ქუჩების, ქოხმახების და დაკონკილი ფარაჯის ამარა.

ქალაქი კი სოფელს ყოველგვარ მოთხოვნილებას უყენებს: მას უნდა პური, ხორცი, შეშა და სხვა სანოვაგე. ქალაქს უნდა ზრდილობიანი მოქცევა, სანიტარული სისუფთავე და სხვა, მაგრამ ვინ მისცა გლეხკაცობას, როდესაც ყველა ეს კულტურული მუშაობის შედეგია და ამისთანა მუშაობა კი ჩვენს სოფელში თითქმის სულ არა ყოფილა.

20—25 წლის წინად პარტიული მუშაობის გარდა ქალაქის დემოკრატიის კულტურულად განვითარებაში და გათვითცნობიერებაში მეტათ დიდი როლი ითამაშა სცენამ. იმ დროინდელ ახალგაზრდა სცენის მოღვაწეების და ლექტორების დაუღალავმა მადლიანმა შრომამ ქალაქის დემოკრატიის უდიდესი ნაწილი სამუდამოთ ჩამოაშორა ყავახანებს და ღვინის სარდაფებს და თავისუფლებისათვის და ადამიანური ცხოვრებისათვის მებრძოლ ამხანაგების რიგში საპატიო ადგილი დააჭერინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენი სოფლის ცხოვრება და მისი ყოველმხრივი განვითარების საქმე ერობებს და თემებს ჩაბარდათ. თუ რა გზით და რა წესით აწარმოებენ ერობები და თემები მუშაობას ამ ძნელი საქმის დასაძლევათ, რა თქმა უნდა, ამას მომავალი გვიჩვენებს, ხოლო ერთი კი აშკარაა, რომ მხოლოდ სწორს და ნაცად გზით სიარულს შეუძლიან სასურველი შედეგის მილწევა.

და ეს სწორი და ნაცადი გზა, რომელიც აღვნიშნე და რომლის მომდურავი თითქმის არავინ არ არის, ჩვენი აზრით, სოფლის დემოკრატიაშიც ამავე გზით უნდა იწარმოვოს კულტურულმა მუშაობამ

აუდიტორიაში ხალხის ხშირი თავის მოყრა, საჭირო საკითხებზე საუბარი, სოფლის ხალხისათვის შესაფერი პიესების ხელოვნურად წარმოდგენა, მათთვის საიდუმლო და წარმოუდგენელი ცხოვრების თვალწინ გადაშლა, ეჭვი არ არის, სულ სხვა მხარეს გაიტაცებს სოფლის ფიქრს და გონებას და თანდათანობით თვითგანვითარების გზაზე დააყენებს.

და ამ საქმის პირნათლად შესასრულებლად ერობებმა და თემებმა არ უნდა დაზოგონ მთელი თავისი ძალა და ღონე, ხოლო ქალაქი კი მოვალეა ამ ორგანოებს ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს თავისი კულტურული ძალებით.

**ნიკ. გვანცალაძე.**



**მირონ ალექსის-ძე თოფჩიშვილი (მ. ხარხელი)**
(1894—1920) გარდაიცვალა კიევში ა.წ. იანვარში.

# წეროს სიკვდილი

**(მირონ თოფჩიშვილის ხსოვნას)**

მე მინახნია წეროთა გუნდი, რომელიც ალსავსე ლხენით მიჰქროლავდა შორი მხრისაკენ და ულვთო მონადირეს უსროლია თოფი, გაუგმირავს ერთი წეროთაგანი და ჩამოუშორებია სწორებისათვის. საშინელი ყოფილა სიკვდილი წეროსი, რომელიც სხვებთან ერთად ლაღობდა, კისკასობდა, შესტრფოდა თბილ მშობელ ქვეყნის მოახლოვებას და ნაცვლად ამ ნეტარებისა თვალებზე სიკვდილის ბუნდ გადაფარებული გდია უსულოდ უცხოეთში... არ მოხდება სასწაული და ველარ გაიშლებიან მისი ფრთები სანავარდოდ. გათავდა. იყო სწორთა შორის ამაყად მომსრბოლავი წერო და აღარ არის იგი.

ამ წეროს სიკვდილმა მომაგონა ახალგაზრდა კიეველ სტუდენტის მირონ თოფჩიშვილის სვეუბედური აღსასრული. მისი ოცნება მოუთმენლად მოელოდდა საყვარელ, განთავისუფლებულ საქართველოში დაბრუნებას და არ ეღირსა. სიკვდილმა მოჰკვეთა ნორჩი სიცოცხლე. ჩამოაღწიეს მისმა ამხანაგებმა თბილისს და ველარ ჩამოჰყვათ მირონი. იმ წეროსავით გამოაკლდა ამხანაგთა კრებულს.

მას გავეცანი ორი წლის წინეთ, როცა ფრონტიდან დავბრუნდი კიევს. რაკი შეუძლებელი იყო სამშობლოში ჩამოსვლა და უკრაინაში დიდძალს ქართველებს მოეყარა თავი — განვიზრახეთ ქართული ჟურნალი გამოგვეცა. მართლაც დავაარსეთ „ზარი", რომელიც შაპიროგრაფზე იბეჭდებოდა. მირონი ერთი სულის ჩამდგმელთაგანი იყო „ზარისა". ხშირად ლამე შემოსთენებია მანქანაზე მუშაობით. ჟურნალის შვიდი ნომერი გამოიცა და შვიდივე მირონის მხნეობა-ფარეზით იყო შელამაზებული.

მირონი ჟურნალში ათავსებდა უკრაინელ მგოსნების ლექსთა თარგმანს ხარხელის ფსევდონიმით. პოეტური ნაპერწკლები ეტყობოდა. საერთოდ ნიჭიერი ყმაწვილი იყო. უეჭველი საიმედო მომავალი ჰქონდა. როგორც ადამიანი და ამხანაგი განუსაზღვრელად მოსიყვარულე იყო. სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობდა და ვერ აზერხებდა.

განუსაზღვრელი ბნელი სევდა მისუდრავს სულს, როცა გავიხსენებ, თუ რაოდენ შესაძლებლობას წარმოადგენდა ჯერ ისევ გაუფურჩქნავი მირონის სიცოცხლე და რა ულვთოდ, უმურაზოდ დავკარგეთ გავერანებულს ჩრდილოეთში.

**დ. თურდოსპირელი**

—

**მირონ თოფჩიშვილის (ხარხელი) მიერ**

**ნათარგმანი ლექსი, მოთავსებული კიევში გამოსულ ჟურნალ „ზარის" მე 6—7 ნომერში**

**ნაწყვეტი ტარას შევჩენკოს „შეშლილი"-დან**

გმინავდა დნეპრი ფართედ გაშლილი,
მრისხანე ქარი მძაფრად ჰხიოდა;
მაღალსა ბზასა წელში ჰზნექავდა,
ტალღებზე ტალღად გადადიოდა.

მხოლოდ მთოვარე მოვანებული
შავ-ბნელს ღრუბლებში მკრთალად ჰკრთებოდა,
ვით იალქანი ზღვისა ზვირთებში
ხან ტივტივებდა, ხან ინთქმებოდა.

დილით მამლებსა ჯერ არ ეყივლათ
და ღამეც ისევ მეფეთ-მეფობდა,
ჭოტები მქეჯნავ ხმით გაჰკიოდნენ,
იფნი კი დილას გრძნობით ელოდდა...

**მ. ხარხელი**

# ფურცლები თეატრზე

II

**ბურჟუაზია და თეატრი**

ფრანგი ჟიულ დესტრე ასე მიმართავს თავის ძმებს-სოციალისტებს: „ბურჟუაზიულ პრესას უყვარს ჩვენი უკულმართად მონათვლა. ისინი იტყვიან: სოციალისტები ზრუნავენ მხოლოდ მატერიალ კეთილდღეობისათვის და დაშორებული არიან მაღალ სურვილებს. თუ ამას დავუჯერებთ, მაშინ შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამარჯვება—ეს იქნება სიგნალი ვანდალიზმის დამყარებისათვის. მაგრამ ჩვენი ძმები უნდა დარწმუნდენ ხელოვნების ძლიერებაში, რომელიც არის მეტად მაღალ-ხარისხოვანი და კეთილშობილი სოციალი ძალა, ერთი ბრწყინვალე ფორმა ინდივიდუუმის თავისუფალი შემოქმედებისათვის''.

ჟიულ დესტრეს აზრი სავსებით გამოხატა ბელგიის პროლეტარიატმა თავის დეკლარაციაში და სხვა რთულ პოლიტიკურ-ეკონომიურ პრობლემებთან ერთად ხელოვნების არსებული სახიერების შესახებ მთელი ფურცლები აამეტყველა. ბელგიის პროლეტარიატმა სალი სიყვარულით პატივი სცა ემილ ვერჰარენის ძმებს, რომლებიც ბურჟუაზიულ ატმოსფერაში პროლეტარიატის ფიქრთა სიცხოვლეს ცოცხალ ლექსთა რითმებში აქანდაკებდენ.

ჩვენ ვიცნობთ ბურჟუაზიულ თეატრს ისე, როგორც ბურჟუაზიულ რომანს, მუსიკას და მხატვრობას. სკრიბის კომედიები საფრანგეთში—ეს ნამდვილი ბურჟუაზიული თეატრია.

ნ. ვილდეს დახასიათებაში ასეთია ბურჟუაზიული დრამატურუგი: ,,ისინი (ბურჟუაზიული დრამატურგები) შესძლებენ შექმნან პიესით შთაბეჭდილება. დამსწრენი უსმენენ მათ პიესებს, რომლებიც არა ერთი ათეული წლები სისტემატიურად მიდიოდენ რუსულ თეატრის სცენებზე. ამისათვის, ცხადია, საჭიროა ერთგვარი ძალა. მაგრამ მაყურებელი არ რჩება ამ შთაბეჭდილების გავლენის ქვეშ რა დასრულდა პიესა და ფარდა დაეშვა. იმათ (ბურჟუაზიულ დრამებს) არ შეაქვთ არავითარი მიმდინარეობა საზოგადოებრივ აზროვნებაში. მათში არ არის პოეზია, ფარული მაგიური ძალა, რომელიც შეადგენს მშვენიერებას ინტიმური დრამის''.

ცხადია:—ბურჟუაზიულ დრამებში მაღალ ტემპერამენტიანი მსახიობი შექმნის ძლიერ სახეებს, ნერვიულ მომენტებს, რის გამო ათრთოლდება არისტოკრატიის სიმშვიდე, მაგრამ ის კვლავ იპოვის სიყუჩეს მდიდარ ვახშამზე შექცევის დროს.

აქ არ არის გაგრძელება დრამატიული ნერვის, დრამატიული ფსიხოზის.

დაეშვა ფარდა და განისვენა დრამის მნიშვნელობა.

იგივე ვილდე სწერს:—,,ბურჟუაზიულ პუბლიკამ თავისი გულცივობით და მაღლიდან დაყურებით მოჰკლა გენიალური შემოქმედება ბიზესი ,,კარმენი''.

კარმენი მათ ეჩვენათ ვულგარ სახედ.

მე კარგად მახსოვს, როდესაც პირველად დაიდგა ,,კარმენი'' მოსკოვში კატონი და მარკონით, ბურჟუაზიულმა აუდიტორიამ ოპერას ოპერეტა უწოდა''.

ამ თავისებური გემოვნების ხალხის სმენაში მოკვდა ბიზეს მუსიკალური სულის ინდივიდუალური ორიგინალობა. კარმენში სურათია:—შერთულობა ქუჩის, ყაზარმის, ბოშური ყოფის, რომელიც გაშუქებულია მზის სხივთა სიმწვავით, უზრუნველი და ფატალური ვნება, თრთოლვა და კივილი მადრილენის და ფატალური სიკვდილი—ყოველივე ეს გაცივდა ბურჟუაზიულ სმენაში, რომელმაც ვერაფერი გაიგო, გარდა ,,რიგოლეტო'' და ,,ფაუსტის''.

ვ. შერლინგი ასეთ სახელს აძლევს ბურჟუაზიას—,,მოზეიმე ხამი'', რომელიც დარბაზის სიბნელიდან უმზერს მსახიობს და ბრძანებს: ,,აბა, მასხარავ, მე მოვედი და გამართე, დამავიწყე, რაც ხდება ,,იქ''.

ასეთია ბურჟუაზიული ბუნების ანგარიშიანი ბრძანების მახინჯი მოთხოვნა.

მსახიობს კი სჭირდება მაყურებელი და მაშინ უნდა გამოირკვეს გამარჯვება სცენიური შემოქმედების, როდესაც შექმნილია ინტიმური, უხილავი სიახლოვე, კავშირი შემომქმედსა და მსმენელ შორის.

ეს მოვლენა აუცილებელია. მაგრამ, ჰკითხულობს ვ. შერლინგი—რა უნდა ჰქნას მსახიობმა, რომლის სურვილში არ არის გართობა ,,მოზეიმე ხამის''.

ბურჟუაზიული ტემპერამენტი მხოლოდ მაშინ თრთის სიხარულში, როდესაც დრამატიული მსახიობი არლეკინფიგარო—კუპლეტისტებში ევლინება და მსახიობი ქალი კი მხოლოდ საცვლებში.

ბურჟუაზიულ სულისკვეთებაში ძლიერი ენერგიით ფეთქს დამონების, ხელოვანის დამორჩილების ტენდენცია. ვ. შერლინგი ცრემლმორევით აღნიშნავს იმდენად მძიმეა ეს ბრძანებითი კილო ბურჟუაზიის, რომ კიევში, სოლოვცევის თეატრის ,,რეპერტუარში'' სეზონის ლურსმანი იყო ფარსი ,,ბიცოლა ჩარლეა'', თვით სამხატვრო თეატრი პროვინციაში გაემგზავრა სურგუჩევის ,,осеннія скрипки''-თ და უჩეხოვოთ''.

წინაალმდეგ შემთხვევაში არ არის მაყურებელი.

ანტრეპრენიორთა ბუნება შემოსავალის გათვალისწინებით მოძრავდება და დღეს რეპერტუარი ყოველგვარი მინიატიურების, კრუჟოკები და ჯიმიადები ხასიათდება გალიმატიით, მსახიობი ქალის შიშველი გამოსვლით და სცენაზე ჩაცმით.

,,და ხელოვნების ნამდვილი მოგვები კი—სწერს შერლინგი—უხილავად სტირიან, სწყურიათ თეატრის განთავისუფლება ყოველგან არსებული ,,მოზეიმე ხამისაგან''.

ასეთი მომენტი დადგა.

,,ხალხნო, იყვირეთ თქვენს სურვილებზე, დღეს ყველაფრისთვის დრო დამდგარია, სანამდვილეა ოცნების სახე, რაც თქვენ გეგონათ ფიქრი მკვდარია''—ასე გაჰკიოდა ვერჰარნი ბრიუსელში, როდესაც თეატრი მონეს სცენაზე გამოჩნდებოდა ,,La Muette''. დიაღ, გამოჩნდებოდა მიუხედავად პოლიციის აღკრძალვისა.

დაიწყო წარმოდგენა.

,,სიყვარული სამშობლოსადმი წმინდაა და ღვთიებრივი,—ისმის სცენაზე და ეს ხმა, როგორც ნაღარის ძახილი, როგორც ცეცხლოვანი სიგნალი გამოდის სცენიდან პარტერში. მას იპყრობს მთელი დარბაზი, გაისმის კორიდორებში და ძლიერი ხმაურით ვრცელდება ხალხით სავსე მოედანზე; თითქოს სცენა უკიდებს თავისუფლების კოცონს, რომელიც როგორც ამბოხების დროშა, აფრიალდება ანთებულ რევოლიუციაზე, რომელიც დაიწყო 25 ავვისტოს 1830 წ. თეატრი ,,მონეს'' ხარაჩოებზე.

ეს იყო ხელოვნების თამამი გამოსვლა რევოლიუციის გამოწვევაზე.

ბრიუსელის თეატრის სცენაზე გამოიჭედა პროლეტარიატის თავისუფალი კივილის ხმა და ამ მაგალითმა ჩვენს წინაშე აღმართა ხელოვნების ერთი ნიშანდობლივობა.

ხელოვნება—ყოველთვის რევოლიუციონურია, რადგანაც ის მუდამ წინ მიდის, ყოველგვარი დოგმატების და ტრადიციების განადგურებით.

ხელოვნება—ანარქისტული ბუნებისაა, რადგანაც მას არ სწამს არავისი უფლება, გარდა შემოქმედი სურვილების—

ამბობს თ. კომისარჟევსკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ისეთი მოვლენა კი – როგორც ბელგეთში—არ მომხდარა არც რუსეთში და არც ჩვენში.

დრო და მომენტი კი იყო.

რუსეთი—ეს ბილიარდის შარების სუსტი გროვა, როგორც სთქვა ერთმა მწერალმა,—მცირე შეხებით დაირღვა და ახალი შემოქმედების გზაზე შედგა. როგორი იყო მონაწილეობა მსახიობის საერთო ზეიმში,

;,—მარტის დღეები! როდესაც ქუჩაზე ელვის სისწრაფით მიექანებოდენ ავტომობილები მოზეიმე ჯარისკაცებით, როდესაც ოცნება სინამდვილეთ იქცა, როდესაც ისმოდა თავისუფლების ზარების რეკა, რომლებშიაც მიყუჩებით ისმოდა არლეკინის ეჟვნების ხმების გარდასხმითი ბგერა, სად ვიყავით ჩვენ მაღლობზე დგომას ჩვეულნი? ჩვენს წინ მიჰქროდენ მატორები, მიდიოდა ჯარი, ზღვა მუშებისა, მიჰქონდათ ზარბაზნები, ჩვენ კი ვიდექით ქ;აფენილებზე ჯაჭვებს გარეშე, როგორც ჩვეულებრივი მოწმე იმ მიუწვდომელ მისტერიისა, რომელიც ხდებოდა ჩვენს წინაშე.

ასეთი საყვედურით მიმართავს ალექსანდრე თაიროვი მსახიობებს.

,,ჩვენ ხომ ჩეხოვის ლვოვები არა ვართ და არც ამისათვის გვწამს ჩვენი დოგმატები, რომ შეუხებლად მივიტანოთ ლვოვის ,,პატიოსნების'' სასაფლაოზე?''— დაუმატებს თაიროვი.

მართლადაც განა საფრანგეთის თეატრმა უღალატა თავის დროშას მით, რომ დადგა ,,ფიგაროს'' ქორწინება?'' ნაპოლეონმა სთქვა—,.ფიგაროს'' ფარდის ახდისას აიწია ფარდა საფრანგეთის რევოლიუციის.

მაშინ, როდესაც ყაზარმებში და ქარხნებში იჭედებოდა ჰიმნი თავისუფლებისა, თეატრებში გაისმოდა სიმღერა ადიულტერების. სიმპტომატიური იყო რუსული სცენისათვის ის, რომ რევოლიუციის პირველ დღეებში შეუწყვეტლად მიდიოდა სურგუჩევის ულაზათო „осеннія **скрипки**“—ეს გათეთრებული დედაკაცის დრამა, რომელიც ახალგაზდობას ეპოტინება. სწორედ მაშინ ალექსანდრე ტაიროვი ასე იძახდა:—თანამედროვე თეატრი ბურჟუაზიას ჰყავს ტყვედ.

ბურჟუაზიამ დაასევდიანა მისი სახე, მან გახადა თეატრი ადგილად დასვენებისა სადილის შემდეგ, ეს მან შეასწავლა თეატრს სიმღერა ადიულტერისა. ბურჟუაზიამ უსახოდ გახადა თეატრის ჟესტი, გააყრუა მისი ხმა, გააუფერა მისი ზრახვანი, რომ არაფერს ხელი შეეშალა მისი სიმშვიდისათვის. ულმერთოდ სულში, ურწმუნოთ მან მოდრიკა ოდესღაც ამაყი თეატრი და რა მოჰგლიჯა მას არლეკინის საჩხარუნებელი, გადააფარა ,,ლაქიის ლივრეა'', და როდესაც ის დამშვიდდა, როდესაც თეატრმა დაიწყო თავისი ,,ხაზეინის ზაკაზების'' შესრულება, ბურჟუაზიამ მოწამლა ის ოქროთი, მოისვა მაგიდაზე და შეასწავლა თავისი გემოვნება.

მას აქვს **თავისი** გემოვნება.

ყოველივე, რაც ბურჟუაზიის ინტერერესებს ეწინააღმდეგება ის სპობს მას, ფეხით სთელავს ყოველივე ინდივიდუალურს, რადგანაც ისე არაფერი არ აშინებს მას, როგორც ინდივიდუალობა“—ეს მდგომარეობა ო. უაილდმაც აღნიშნა.

ჩვენ აქ ვხედავთ თეატრის დამორჩილებას.

მხატვრობა, მუსიკა და პოეზია ხანდახან სცილდებიან ბურჟუაზიულ გემოვნების საზღვრებს, მაგრამ ისეთი დიდი სტრუქტურა, როგორიც თეატრია, ჯერ კიდევ დამორჩილებული ჰყავს ბურჟუაზიის გემოვნებას

ასეთი მდგომარეობაა საქართველოშიც, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო რესპუბლიკანური, დემოკრატიული ქვეყანაა სოციალისტური მთავრობით, ჩვენს ქვეყანაში თეატრის ეტლი ერთ ადგილას დგას და არ სჩანს მისი საგრძნობად წინ-წაწევა.

აქ ჯერ კიდევ ბურჟუაზიული გემოვნებას ემსახურება კერძო ანტრეპრიზა, რაც უნდა იქნეს გაუქმებული და კოლექტიური აზროვნების შედეგი უნდი იქნეს რეპერტუარის შემუშავება.

ჩვენ მხოლოდ დღეს, დემოკრატიული სტრუქტურის დროს შევიძლიან წავწიოთ წინ თეატრის ეტლი, ანროგორც თაიროვი ამბობს—,,წავასვენოთ იგი პანოპტიკუმში აიხენვალდის და მისი ძმების სასიხარულოდ''.

თეატრის ამოძრავება შეუძლიან მსახიობთა შეკავშირებულ ძალას, მათ ენერგიულ კორპორაციას, რომელიც დაემყარება ნაძალადევის თეატრის ამგებ დემოკრატიის მარჯვენას, მის გაღვიძებულ ბუნებას.

,,დემოკრატია,—აი ის ზღაპრული პრინცი, რომელსაც შეუძლია დაუბრუნოს ცხოვრებას მიძინებული პრინცესა, გაანთავისუფლოს თეატრი ბურჟუაზიის ჯადოსაგან''. დემოკრატიაში ანთებულია ისტორიული სურვილი ლეგენდარული შემოქმედებისა, ის იქნება გულწრფელი მეგობარი და არა მბრძანებელი თეატრის.

ხალხის სული tabula rasa-ა, რომელსაც სათუთად უნდა შეეხოს ქართველი ხელოვანი. დღეს კი ქართული თეატრი იყინება, დღეს ის ბურჟუაზიის გემოვნების ქვეშ იჩრდილება.

დავასკვნი თაიროვთან ერთად: ,,მსახიობნო! თქვენს ხელთ არის განდევნოთ ვაჭრები თქვენი სამლოცველოდან და გახდეთ მის მოგვებად. ყოველივე წმინდა მორწმუნე შემოვა სიყვარულით განწმენდილ სამლოცველოში. მსახიობნო! შექმენით თავისუფალი ხელოვნება თავისუფალი დემოკრატიისათვის. გწამდეთ—თეატრი ჯერ კიდევ ბურჟუაზიას ჰყავს ტყვედ''. **მ. ღვამიჩავა.**

# ჩვენი ხელოვანნი

## I.

**ნატო გაბუნია-ცაგარლისა.**

(მის გარდაცვალების 10 წლის შესრულების გამო)

ნატო გაბუნია.
1858—1910

შესწყდა სიცოცხლე ნიჭით სავსე ღვთისგან ცხებული,
შესწყდა სიცილი ცრემლ-ნარევი, ტანჯვა და ლხენა;
არ დაგივიწყებს შენ სამშობლო დავალებული,
დიდხანს გიგლოვებს საყვარელი ქართული სცენა.
მადლიერი საზოგადოება.

Красѣ
Грузинской сцены
Н. М. Габунія-Цагарели.
(ძეგლზე წარწერილიდან)

*
* *

ამ წელს 29 აგვისტოს (ძვ. სტილით 16) შესრულდება სრული 10 წელიწადი, რაც გარდაიცვალა შეუდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რეველი, უნიჭიერესი მსახიობი ქალი, ერთი დედაბოძთაგანი ქართული სცენისა ნატალია გაბუნია-ცაგარლისა.

დღეს განთავისუფლებულ საქართველოს ერის ვალია მოწიწებით მოიხსენიოს მისი სახელიც, რომელიც 26 წლის განმავლობაში დაუღალავად ემსახურებოდა ქართული ერის გათვითცნობიერებას და ესეც იმ დროს, როდესაც ქალის გამოყვანა სცენაზე რაღაც დანაშაულობად და ბარბაროსობად მიაჩნდათ.

ვის არ ახსოვს განსვენებულის 25 წლის იუბილე, გამართული 1909 წ. ქ. თბილისში. მაშინ სრულიად საქართველოს ყოველ კუთხიდან შემოიკრიბა მადლიერი საზოგადოება, რომელმაც ერთხელ კიდევ გულმხურვალე მადლობა უძღვნა თავის საყვარელ ნატოს, უანგარო და დაუღალავი სამსახურისათვის. მაპატიეთ, რის სამსახურის, არამედ ცოცხლად განსახიერებისათვის იმ ტიპებისა, რომელნიც შექმნა განსვენებულმა. განა ვისაც უნახავს, შეუძლიან დაივიწყოს ხანუმა, ფროშარი და სხვა მრავალი, შესრულებული ნატოს მიერ? მისი სახელი უკვდავია ქართული სცენის ისტორიაში...

1884 წ. ჩვენ დედა ქალაქში გვეწვია რუსეთის უნიჭიერესი დრამატურგი ოსტროვსკი. ქართველმა საზოგადოებამ მის პატივსაცემლად გამართა წარმოდგენა. დასდგეს მისი კომედია „შემოსავლიანი ადგილი“. კუკუშკინის როლის აღმსრულებელი გახლდათ ჩვენი ნატო, ჯერ კიდევ მაშინ ახალგაზრდა მსახიობი, რომელსაც თავის შეუდარებელი ნიჭი არ გაეფურჩქნა... ისე აღტაცებაში მოვიდა ოსტროვსკი მისი თამაშობით, რომ სთქვა: „კავკასიაში მოსვლას კი ვიფიქრებდი, მაგრამ იმას კი ვერ მოვიფიქრებდი, თუ ჩემს პიესას ქართულ ენაზე ნათამაშევს ვნახავდი და ამისთანა ახალგაზრდა მსახიობი ქალი ისე კარგათ დამიხატავდა კუკუშკინის ტიპსაო.“

ძალიან მოეწონა აგრეთვე მსოფლიო ტრაგიკოსს იტალიელ როსის, რომელიც ჩვენში გახლდათ საგასტროლოდ და აგრეთვე მოსკოვის საიმპერატორო მცირე თეატრის მსახიობთ, რომელნიც ჩამოვიდნენ არტისტიულ ტურნეზე, ჩვენი თანამემამულე იუჟინი—სუმბათაშვილის მეთაურობით, რომელნიც მოაჯადოვა მის მიერ შესრულებულმა ხანუმამ. მისი შესრულებით მოხიბლულმა უცხო ხელოვანთ გადმომცეს: „რომ ჩვენ პარიჟში ენახეთ ფარსი და ისე გულიანად არ გვეცინა, როგორც ხანუმაზედ და ისიც ნუ დაგავიწყდებათ ჩვენ თითქოს ყველას ფრანგული ენა გვესმოდაო“ და ქართული კი არავისაო.“

იმედია, ქართული დრამატიული საზოგადოება და მსახიობთა კავშირი ღირსეულად აღნიშნავენ მის 10 წლის გარდაცვალების დღეს.

II მარიამ შავერზაშვილი

საქართველოს ხელოვნებას გამოაკლდა სრულიად ახალგაზრდა შესანიშნავი მომღერალი ქალი მარიამ შავერზაშვილი, მშვენიერი კოლორატურული სოპრანო, საუცხოვოდ დაყენებული ხმა „bel canto“. იგი ერთი პირველთაგანი მოწაფე იყო თბილისის კონსერვატორიის პროფესორის რიადნოვისა. ორი წლის წინად აღტაცებით შეხვდა სამშობლო ქალაქი ქუთაისი მის კონცერტზე. მასზე ყველა დიდს იმედებს ამყარებდა, რომ დასცლოდა თავისი ნიჭის აყვავება და გაფურჩქვნა. ამ ახლო ხანში ყველას იმედი ჰქონდა, რომ მოესმინა მის მიერ შესრულებული პარტიები: ვიოლეტა, ჯილდა, ლაკმე და სხვა მრავალი ოპერიდან, თავის იშვიათი, მოქნილი და ულამაზესი ტემბრით და ფრიად განვითარებული კრიმახჭულით.

მაგრამ ცხოვრებისაგან დაჩაგრულს, ტანჯვა-წვალებაში აღზრდილს, სულ ყოველთვის ლუკმა-პურის ძიებაში მყოფს, ისეთაც სუსტი ჯანმრთელობის პატრონს, გაუჩნდა ჭლექი, რამაც იმსხვერპლა კიდეც...

განსვენებულს, როგორც ქართველი კათოლიკეს, ბავშვობიდანვე სმენა დამტკბარი ჰქონდა მშვენიერი ევროპიული მუსიკის მელოდიებით და იმიტომ ეგრე ძლიერ იჩინა მის და-ძმებში მუსიკალურმა ნიჭმა.

გაჰქრა ობოლი ვარსკვლავი და ვინ იცის როდის გვეღირსება კვლავ მარიამისთანა იშვიათის ხმის მოსმენა...

მიხეილ ლობჟანიძე

# გაუმარჯოს გაზაფხულს!

ღამეა.

ტრფობას დაუდგავს ფირუზი თვლებით მოჭედილი ტახტი და ლხენის ზვირთებში აუბიბინებია ქვეყანა...

მთვარეს სხივთა მონები გადმოუშლია და ატკბობს ქვეყანას საიდუმლო მელოდიებით.

სიყვარულის ცრემლები ვარსკვლავებად აყვავებულან და ნაზი ციმციმით ჰყარგავენ წარმტაცს ზღაპრებს.

სიყვარული ჰხვევს ყველას ტკბილს ბურანში, ლაჟვარდოვან გრძნებაში.

სუმბული ხომ ერთი ციცქნაა, მორცხვი და ისიც ალაღებულა, გიჟმაჟობს.

ლალის ცვრები უბრწყინავს ლამაზს თვალებზე ტრფობის ცრემლებად.

შორს აგრუხულს ჭალაში გაისმა ძახილ-ვედრებით დაღლილი გალობა.

ეს ბულბულია. იგი ეძებს სუმბულსა, თავ-დავიწყებით ეძახის მეგობარს.

ახ, რა ტკბილი, რა ტკბილია ძებნა სატრფოსი...
რა კარგია შორეულ სატრფოზე ოცნება.

* * *

მარტო ვარ გულ-ჩათხრობილს ოთახში.

ოდნავ ბჟუტავს სანთელი.

მკრთალი სხივები ებრძვის სიყურსეს. ჰყურს გააჩახჩახოს. გაგვამხიარულოს. სუსტია, კნინია მისი ძალა. ვერ არღვევს ზრქალ ნაღველს.

სისინით შემოიჭრა ნიავი და ეცა სანთელს. რომ ჩააქროს—არავინ გაიგებს.

ატირდება მხოლოდ ჩემი ოთახი და ივაგლახებს ჩემს აუსრულებელს ოცნებაზე. განუხორციელებელ სიზმრებზე. მიუგნებელს სატრფოზე.

* * *

მთვარის სხივებით ატევრებულს არეში გაისმა მგზნებარე გალობა.

ეშხით დაამბრული სურნელება მიმოიკმია.

ბულბულსა და სუმბულს მიუგნიათ ერთმანეთისთვის.

კასკასობენ.

ყვავილოვან სიცოცხლის ზვირთებში ლივლივებენ.

* * *

არა, არ მინდა მარტო ყოფნა.

არ მინდა ნაღვლიანობა.

რა ადგილი აქვს კვნესას ამ წუთში?

ყველგან უნისლო სიცილი უნდა წკრიალობდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნეტარების სიმღერამ უნდა გაამხიარულოს ჩემი ოთახიც.

ახალი ცა მეხსნება. ახალი ბედნიერება მეძახის.

მე მივდივარ სარკმელთან, საიდანაც იყურება სიყვარულის ღამე ვარსკვლავების მოჟუჟუნე თვალებით და ხმა მაღლა ვიძახი:

გაუმარჯოს გაზაფხულს!..

გაუმარჯოს სიყვარულს!..

გაუმარჯოს ჩემს უცნობს სატრფოს, რომელიც ახლა შეიძლება სადმე ბალში დასეირნობს და ოცნებობს ჩემთან მოულოდნელს შეხვედრაზე.

**დ. თურდოსპირელი**

# ბათომის სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე

ივლისის 20 შესდგა ბათომის სცენის მოყვარეთა და თანამგრძნობთა კრება. დღის წესრიგში: 1 ძველი დრამატიული წრის გამგეობის მოხსენება, 2, სეზონი, 3, გამგეობის არჩევა.

დრამატიული წრის სახელით მოხსენება გააკეთა ამ წრის თავმჯდომარემ ვანო ქოქიკაშვილმა. მან აღნიშნა ამ წრის მუშაობა ძველათ სანამ ბათომი თათრებს ჩაუვარდებოდათ, ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ეს უანგარო მუშაკთა წრე ახერხებდა წარმოდგენების მართვას იმ დუხჭირ პირობებშიაც კი, როდესაც ბათომში უცხოელები ბატონობდენ. ვრცლათ შეეხო წრის კასის მდგომარეობას და შემდეგ მოუწოდა სცენის მოყვარეთ, რომ ეხლა განახლებულ ბათომში განახლებული ენერგიით ემუშავნათ და ძველი დრამატიული წრის ტრადიციისათვის არ ეღალატნათ. კრებამ მადლობა გადაუხადა ძველ დრამატიულ წრის გამგეობას და სცენის მოყვარეთ.

სეზონის შესახებ კრებამ ერთხმათ გამოთქვა სურვილი, რათა ბათომში სცენის მოყვარეთა და 6 პროფესიონალურ მსახიობის შერევით აწარმოვონ სეზონი. ამ საქმის მოგვარება კი მიენდო ახლად არჩეულს გამგეობას.

შემდეგ მოხდა არჩევნები. გამგეობაში არჩეულ იქმნენ: 1, ვანო ქოქიკაშვილი (თავმჯდომარედ), 2, გიორგი ამაღლობელი (თავმჯდომარის ამხანაგად) 3, ისაკი ჭავჭანიძე (მდივნად), 4, მარიამ ნაკაშიძისა (ხაზინადრად) 5, სევერიანე ვადაჭკორია, 6, ევგენი წულაძე 7, გრიგოლ ნუცუბიძე; სარევიზიო კომისიაში: 1, ნესტორ რუსეიშვილი, 2 გოგეიშვილი, 3 სვიმონ ხარებავა.

გამგეობამ იმ დღესვე გადაწყვიტა, თუმცა პატარა დრო იყო: კვირას 25 გაემართა პირველი წარმოდგენა. რეჟისორად მოწვეული იქმნა ბარველი და საქმეც გაიჩარხა. წრეს ყოველგვარი დახმარება აღუთქვა როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა, აგრეთვე ბათომის ოლქის საგანგებო კომისარმა ბენია ჩხიკვიშვილმა. მაგრამ საიდგანღაც გაჩნდნენ ადამიანები, რომელთაც მოინდომეს ამ საუკეთესო დასაწყისის ჩაშლა. ზოგს უნდა ცალკე დასი შეადგინოს „პროფესიონალურ მსახიობთაგან“ და სხ. როგორც ისინი იძახიან, და ამისათვის ამ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრეს ურჩევენ, თქვენს განძრახვაზე ე. ი. სეზონის წარმოებაზე ხელი აიღეთო. სამწუხაროა, რომ ამას ადასტურებენ ბათომის ზოგიერთი ინტელიგენტთაგანნიც, იმ ინტელიგენტთაგანნი, რომელნიც ძლიერ ნაკლებათ დაიარებიან თეატრში და თავისი ამ საქმეში ჩარევით კი ნამდვილ თეატრალებს და საქმის მცოდნეთ უშლიან ხელს. მათ თურმე აშინებს სახელ-წოდება, რომ სეზონის მმართველთ ჰქვიათ „**სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე**“ ხოლო იმათ პროფესიონალური მსახიობები, იმას კი სრულიად არ უწევენ ანგარიშს რომ წრეს სულ სხვა აქვს მიზნათ დასახული, რომ მას თავისი საკუთარი გეზი აქვს და დრამატიულ დასს კი სულ სხვა, ერთს თავისი მლოცველები ჰყავს, მეორეს კი თავისი. ეს ერთი. მეორე: ჩვენ დაბეჯითებით ვიცით, რომ ბათომში ეხლა შეუძლებელია შედგენა პროფესიონალებისაგან მთლიანი და კარგი დასისა, რადგანაც ყველა ძალები თბილისში დიდ სახელმწიფო დასში არიან მიწვეულნი და თუ ვინმე დარჩა, ბათომის სახალხო წარმოდგენების მმართველ წრეში არიან მიწვეულნი. მესამეც: ბათომში მთელი დასის ყოლა პროფესიონალებისა შეუძლებელია და ამ აუარება ხარჯებს ჯერ-ჯერობით მაინც ვერ გაუძლებს.

დრამატიულ წრეს განზრახვა აქვს სეზონი გაფართოებული დასით გახსნას შუა ენკენისთვიდგან როდისთვისაც ჩამოუვათ დაქირავებული 6 პროფესიონალი მსახიობი. მანამდე-კი დროგამოშვებით თავისი ძალებით და რეჟისორ ბარველის დახმარებით მართოს წარმოდგენები.

ამ მიზნით კვირას ივლისის 25 გაიმართა ამ განახლებულ „სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის“ მიერ პირველი წარმოდგენა № 21 † (ნომერი ოცდა ერთი ჯვრით). გასტროლზედ მოწვეული იყო ჩვენი მონათესავე სახალ ო წარმოდგენების პიონერ თბილისის სახალხო სახლის სცენის მოყვარე ნიკოლოზ ჭანკვეტაძე.

ის ერთხულოვნება, ის საქმისადმი სიყვარული, რომელიც ამ წრემ გამოიჩინა ამ სალამოს იშვიათია. ყველა გატაცებით და დაკვირვებით ასრულებდა ნაკისრ მოვალეობას. საზოგადოებასაც, იმ საზოგადოებას, რომლიდგან ეს წრეა გამოსული, სავსებით მოეყარა თავი. ბილეთები სრულიათ გაიყიდა, და მოზღვავებული ხალხი მოითხოვდა შესასვლელ ბილეთებს მაინც. რამდენად ეს ტეხნიკურათ შესაძლებელი იყო წრემ დააკმაყოფილა. ხალხი მიდიოდა, ულოცავდა წრის წევრებს გამარჯვებას, გამოცდის დაჭერას და მართლაც ამ სალამოს წრემ სავსებით გაიმარჯვა. მობრძანებულიყვნენ ის მოწინააღმდეგენი, რომელნიც სრულიად არ სჩანდნენ იმ სალამოს თეატრში, და დარწმუნდებოდნენ, თუ ვისთანა აქვთ საქმე. ეს წრე ხალხის გულიდგან არის გამოსული და მას ყოველთვის ზურგს გაუმაგრებს ის ზღვა ხალხი, რომელიც ამ სალამოს ამ წარმოდგენას დაესწრო და წრის წევრებს ამხნევებდა:

თუ მთავრობა არ დაგეხმარათ, ნუ გეშინიანთ, ჩვენ აქა ვართ, ბათომის დემოკრატია ჯერ ისე არ დაკნინებულა, რომ თავისი თეატრი ვერ შეინახოს.

და მართალიც არის.

ამ აუარება ზღვა ხალხს ისე ეჭირა თავი, რომ ბუზის გაფრენასაც კი გაიგონებდით. წრეს მაინც იმედი აქვს მთავრობის დახმარებისა, ვინაიდან ეს წრე მთავრობის დღევანდელ შემადგენლობის სულის მონათესავეა.

**Г. В—скій.**

ეროვნული ბიბლიოთეკა





აჭარელი (ნახატი კ. ქავთარაძისა)

# ძველი რვეული

(გუგული გვათუას ასულს)

განახლებულ ქართლოსის გაფითრებულ რკალებში,
ბებერ ქათალიკოსის ვნებით ჩამწვარ თვალებში,
სხივს ვაფენდი იებით და ბნელს კაბად კერილსა,
ვხევდი შურისძიებით მაისით შეფერილსა...
ვადიდებდი ყველა მკვდარს გაზაფხულის სხივითა,
სიყვარულით გულ-დამწვარს, მორთულს თეთრი მძივითა.
და ვამბობდი, რომ სული უკვდავია, არ ქრება,
მზის ქვეყნიდან მოსული—მზესთან დაიარება...
თუ ვიცვლებით - ეს მზეა, მთებს გადალმით მავალი,
ხვალის გაზაფხულზეა დილით ამომავალი...
ასე ალსდგა ივერი—ხვალის მზე ამოვიდა,
თუმც ამ აღდგომით ერი სისხლის ცრემლებს სთოვიდა.
მეც უნდა გავიხარო მონამ ტრფობის ოკალებში,
ორმაგათ შეგიყვარო, ვიცოცხლო შენს თვალებში...
ყველაფერი კარგია, თუ შენ მწყალობ სავსებით,
თორემ მეტი ბარგია, თუ მე გადავიწვები...
განახლებულ ჩემს ერთან აღმიდგინე მეც გული,
სულის რკალის თეთრ ღმერთთან ვიყო გახარებული.
აღმადგინე—თუ რომ გწამს ახალი საქართველო,
ჩემს სიცოცხლის ყოველ წამს გმონებ ქალო მ—ლო!

კოკი ებრალიძე

1920 წ. ივნისი
რიონი.

# ჩ ვ ე ნ ე ბ ი

(დასასრული. იხ. „თ. და ც." № 27)

მესამე მოქმედება.

(იგივე ოთახი. სცენა ცარიელია)

**გიგო** (კულისებში—მთვრალია) ეფუ!.. (შემოდის) ეფუჰ, სიძეჯან, გაიხარე—მოვიგეთ! (ყვირის) სიძევ!

**სოსო.**

**სოსო** რა ამბავია?

**გიგო** გაიხარე—მოვიგეთ!

**სოსო.** მართლა?

**გიგო** ,,მართლა?" აბა, შენი პატრონი რასმე მოიგებს? უჰ, შენი დეპლომი კი დაიქცეს. აჰა!

**სოსო.** მიხარიან, რომ ასე მოხდა!

**გიგო** (თვალებს დააჭყეტს) რა გიხარიან? ქონება რომ დავკარგეთ?

**სოსო** აბა, გიგო, შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ... რომელი ქონება დაკარგე? განა შენი იყო?

**გიგო** იყო!

**სოსო** მერე საიდან?

**გიგო** უთქვამს... სიტყვა!..

**სოსო** მერე რა ვუყოთ, რომ უთქვამს? თუნდა ანდერძითაც ყოფილიყო დამტკიცებული, განა შენ უნდა იკადრო და წაართვა? შენ ხომ შენი ალალი ლუკმა გაქვს?! რათ გინდა საწყალ ხალხს ლუკმა პირიდან გამოგლიჯო? მერე შენი ძმა ბიჭები რას იტყვიან?.. არ იტყვიან—გიგო მგლეჯელი საწყალ ხალხს ლუკმასართმევსო?!

**გიგო** (ჩაფიქრებულია) იტყვიან!

**სოსო** მერე ეგ შენთვის კარგია? რა გჭირს საიმისო? ქონება გაქვს, ახალ გაზდა ხარ, მომგები!.. არ გირჩევნია ალალი ლუკმა სჭამო და ხალხს თვალებში უშიშრად შეხედო?..

**გიგო** მართალია!.. ალალი ლუკმა კარგია!..

**სოსო** ჰო და ეგრე!.. ამისთანა ჭუჭყიან საქმეს მეორედ ნულა მოჰკიდებ ხელს... რა ხელს მოგცემს იაგორას აყოლა, რომელსაც თვალი სხვის გაყვლეფაზე უჭირავს.

**გიგო** ალარა!.. მორჩა!.. სულ ქალების ბრალია!.. უჰ, მაგათი!

**სოსო** სსუ!.. ქალებია!

**გიგო** მერე რა რომ ქალებია?.. გაწყდეს მაგათი ქოქი!

**სოსო** ვაჟკაცს არ შეშვენის ქალების ლანძლვა.

**გიგო** სუ ეგრე სინდისზე ხელი უნდა ამაღებინონ...

**სოსო** შენ ნუ დაუჯერებ ხოლმე... ჯერ მე დამეკითხე... მე ცუდს არას გირჩევ.

**გიგო** ალარა, სიძეჯან!.. კვლავ აღარ ჩავიდენ! გენაცვალე დეპლომში! მე და ჩემმა ღმერთმა, ჭკვიანი ბიჭი ხარ, მაგრამ ის ოხერი... ეჰ, აღარ გეტყვი!.. არ გაწყენინებ...

**სოსო** არა, მითხარი!.. არ მეწყინება!..

ეროვნული ბიბლიოთეკა





# უკანასკნელი ლექსი

**ქრისტესია რ. ლორთქიფანიძის ასულის დგებუაძისა**

გული წამართვა ნაღველმა, სევდა მეწვია წყეული
და მუხთალ წუთი სოფელში დავდივარ, როგორც ეული.
ოცნება სიჭაბუკისა გაფრინდა სიზმარივითა,
და დამრჩა მხოლოდ სურვილი, შემკული ციურ სხვითა.
მინდა ვიმღერო—ნაღველი სიმებზე აწკრიალდება,
მინდა ვიცინო—ცრემლები თვალებზე აცქრიალდება.
რომელს მივენდო მოხუცი? ოცნება მუხანათია,
და გული როგორ იმღერებს როცა შიგ ცეცხლი ანთია?
ჰაუ, სოფელო, სოფელო, ჩემო ჩამქრალო მთვარეო,
მოხუცი მაინც მიწამე ჭაბუკს რომ მასვი მწარეო?...
მიეცი ისევ ძალა სულს, სევდები უკუ ჰყარეო,
რომ ციურ ენით ვადიდო ჩემი სამშობლო მხარეო.
მისთვის დავზარდე ქალ-ვაჟნი, იმედით მოელვარეო,
რომ შენ გიწამონ, გაგიქრონ სევდა-ვარამი მწარეო.
ეს სამკაული დიადი შენს ზვირთებ მოვაბარეო,
დამილოცნია გულითა სამშობლოს მოახმარეო.

**ქ. დგებუაძისა.**



აჭარელი (ნახ. კ. ქავთარაძისა)

---

**გიგო** ის ოხერი წერა... კაცო, რა ნახე იმ ოხერში?.. ვაჭრობით უფრო მეტს არ მოიგებდი?

**სოსო** ალბად არა მაქვს ვაჭრობის ნიჭი!.. აი, შენ ვაჭრობ, მე—ვწერ, მესამე—ხნავს და ყველასკი გასავალი აქვს...

**გიგო** აი, ესეც მართალია, ქრისტეს მადლმა!.. სიძეჯან, გენაცვალე დეპლომში! დედი მოიტა ღვინო!

**სოსო** ეხლა ღვინო აღარ გინდა... დაიძინე, როცა გამოიღვიძებ მაშინ დავლიოთ!

**გიგო** ვაა, შენი ჭკუის სადღეგრძელო რომ არ დავლიო, განა ისე დამეძინება? დედი, ღვინო!

**ი ა გო რ ა**

**იაგ.** სობსტვენო ლოვორია, შენ რომ ქეიფობ, მე გასამრჯელო არ მინდა?

**რიმსიმე და ტასო**

**გიგო** აქედან დაიკარგე, თორემ კატასავით თავს გაგიჭეჭყავ! (მუშტს მიუღერებს ქალები წინ გადაეღობებიან) კინალამ დამლუპეთ და სინდისზე ხელი ამაღებინეთ! (ქალებს) სულ თქვენი ბრალია, გაწყდეს თქვენი სინსილა!

**რიმ.** აღარ იტყვი—რა ამბავია?

**გიგო** წავაგეთ!

**ქალები** ვუი, ჩემს თვალებს!!

**გიგო** სიძეჯან, გენაცვალე ჭკუაში!

**რიმ.** იაგორ მიტროფონიჩ, ეს როგორ მოხდა?

**იაგ.** სობსტვენო ლოვორია, შეიძლება აპელაცია გადავიტანოთ!.. სოსომ უნდა დაგვიწეროს...

**გიგო** ზურგიდან რომ ტყავს აგაძრობ, იმაზე დავაწერინებ აპელაციას... აქედან დაიკარგე, თუ არ გინდა ეგ თირკმელები ამოგაცალო!

**რიმ.** დაჩუმდი ერთი, თვალიც დაგიდგება.

**გიგო** სიძეჯან, გენაცვალე სულის კლაპიტონში, ნუ გვინდა ამათი ღვინო! წამო, მე გაქეიფებ!

**ტასო** ეგ არსად წამოვა!

**გიგო** იქით დაიკარგე!

**სოსო** არა, გიგოჯან, მე ვერ წამოვალ!.. უნდა ვწერო!..

**გიგო** წერე წერე, გენაცვალე ტვინში!—ე გიჟები მოაჭკვიანე! კვლავ აღარ ჩავიდენ აი... სიტყვას გაძლევ!.. თუ კიდევ ჩავიდინო—ჩამომახრჩე! (იაგორას) ჩემს ოჯახში აღარ დაგინახო, თორემ გაგსრესავ!.. (მუშტს მოუღერებს. ქალები გადაეღობებიან. იაგორა იკუზება).

**რიმ.** ბიჭო, ხატის ღვინო ხომ არ დაგილევია, შე წყეულო!..

**გიგო** აი, შე კაკ მოქნა მაშენიკო შენა! (გადის).

**იაგ.** მაშენიკი ვარ თუ არა—გასამრჯელო მაინც!

**რიმ.** ქა, საქმე წაგიგია, რიღასი გასამრჯელო?

**ტას.** გასამრჯელო მონაგებიდან არ უნდა აგელო?

**იაგ.** მე ღარიბი კაცი ვარ... ამით ვცხოვრობ... წავაგებ თუ მოვიგებ, ჩემთვის სულ ერთია, გასამრჯელო მაინც უნდა მივიღო... ასე შვრებოდა პლევაკაც.

---

*) ამ ლექსის დაწერისთანავე მწერალ ქალს დამბლა დაემართა, ლოგინად ჩავარდა და თითქმის ხუთი წელიწადი ავადმყოფობდა, გარდ. 25/VII-20 წ. ქუთაისში დაკრძალეს ს. ღანირში ივლ. 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**რიმ.** შენთვის რომ სულ ერთია, ეხლა მეც მკითხე და!

**ტას.** ერთ გროშსაც ვერ მიიღებ!

**იაგ.** ია ვას პროსიმ, ნუ მაჩივლებთ, თორემ...

**სოსო** დაანებეთ თავი!.. რამდენი გნებავთ?

**იაგ.** საქმის წარმოება, ხარჯი-მარჯი, წასვლა-მოსვლა, ჩემი გაცდენა, ქაღალდი, მარკა, პრაშენიას დაწერა, ქრთამი, საჩუქარი, ნაჩაი, ნაოტკი და ჩემი გასამრჯელო სულ—15 მან.

**სოსო** აჰა, ინებეთ! (აძლევს).

**რიმ.** (ფულს ხელიდან გამოსტაცებს და ჯიბეში ინახავს) შავ ჭირსა და ხოლერას მივცემ მაგას!.. წადი და თავი ქვას ახალე!

**იაგ.** არ მომცემ და გიჩივლებ!

**რიმ.** წადი იჩივლე, შე მართლა მაშენიკო, შენა!

**იაგ.** მაშენიკი მე კი არა—შენი ქმარი იყო...

**რიმ.** რაო, რაო?.. ჩემი ქმარიო?!

**ტას.** როგორა ბედავ მამიჩემის ხსენებას, შე კაკმოენა, შენა?!.

**რიმ.** აქედან გაეთრიე, თორემ მაგ ბრიყვ გოგრას ვაგიხეთქავ!

**სოსო** ღვთის გულისათვის... თაწყნარდით!

**რიმ.** გაეთრიე—მეთქი!..

**იაგ.** განათლებული კაცი ხარ და უნდა დამიფარო ასკარბლენიესგან...

**რიმ.** (შეატრიალებს, პანლურს ამოჰკრავს და გააგდებს) შე უსინდისო, ლაპარაკსაც რო ბედავს!..

**ტას.** (კარებს მოჰკეტავს) ეგეც მაგას!

**რიმ.** შვილო, გადასაყრელი ფული გაქვს, რომ ყველა რაზბონიკს აძლევ?

**სოსო** ეს ,,რაზბონიკი‘‘ თქვენი ვექილია!.. მივეცი ის, რაც ერგებოდა.

**რიმ.** შავი ჭირი ერგებოდა!

**სოსო** მაშ რაღად მიანდეთ საქმე?

**რიმ.** ახლა რო მივანდე?! უნდა მეეგო... ხომ არ გავრიგებრივარ—თუ წაგე მაინც მოგცე მეთქი?!

**სოსო** ღვთის გულისათვის... ალარაფერი გამოდგება... თავი დამანებეთ!..

**რიმ.** თავ დაგანებებ, მა რა?!. კისერზე ხომ არ ჩამოგეკიდები?.. მარტო გაზეთებში წერამ გაგიძლოს კუჭი! (გადის, დიდი პაუზა. ტასო სოსოს მოკრძალებით მისჩერებია. სოსო ოთახში დადის. მაგიდას მიუჯდება და გაზეთს აიღებს)

**ტას.** მიჯავრდები?

**სოსო** ვერც ამით გავხდი ვერაფერს!..

**ტას.** ისეთი მწყინს!.. დღეს კარგ გუნებაზედ იყავი და ჩაგაშხამეთ...

**სოსო** ეგ ხომ პირველი არ არის...

**ტას.** მერე ვინ არის მიზეზი შენი მხიარულებისა?

**სოსო** ,,ვინ,‘‘ თუ—რა?

**ტას.** თუნდა—,,რა‘‘?

**სოსო** მაშ მოდი, აქ დაჯექ, გეტყვი... დღეს გამოვიდა კრიტიკა ჩემის ნაწერებისა... მაქებენ... აი, რათ ვიყავი მხიარული.

**ტას.** ჰო? მარტო ეგ, სხვა არაფერი?

**სოსო** სხვა რა უნდა ყოფილიყო? შენ ხომ არა კითხულობ ჩემ ნაწერებს?

**ტასო** ვკითხულობ.

**სოსო** მე არ მინახევხარ!

**ტასო** როცა შენ შინ არა ხარ... მაშინ ვკითხულობ...

**სოსო** მერე მოგწონს?

**ტასო** არ მომწონს! სულ სიყვარულზე სწერ!

**სოსო** როგორ არა! სულ ესა სწერია: ,,იმან ის შეიძულა, ამან—ესა... ცოლი მიატოვა... ცოლმა უღალატა!‘‘ მეტი არაფერი!

**სოსო** მერე რა აზრი გამოიტანე?

**ტასო** შეყვარებული ხარ...

**სოსო** ტასო, სისულელეს ნუ ლაპარაკობ.

**ტასო** სოსო, ნუ დამიმალავ... მე ყველაფერი ვიცი... მართალია, გაუნათლებელი ვარ მაგრამ გრძნობა მეცა მაქვს, არ მეწყინება, ოღონ ნუ მატყუილებ.

**სოსო** რაშია საქმე?

**ტასო** ანეტა გიყვარს, არა?

**სოსო** კარგი, სიმართლეს გეტყვი... მოვილაპარაკოთ დამშვიდებით. მართალია, ანეტა მიყვარს!.. არა, ნუ შეშინდები, მათქმევინე! მიყვარს არა იმ სიყვარულით, რომელსაც შენ ფიქრობ აი, მაგალითად, მე ყველაფრით კმაყოფილი ვარ... კარგი ცოლი მყევხარ. მოყვარული ერთგული... ყველაფერი თავის დროზე. მაქვს--სასმელი, საჭმელი, ბინა... ერთი სიტყვით ყველაფერი!.. მაგრამ ერთი რამ მაკლდა: სულის მეგობარი... იცი რი არის სულის მეგობარი?

**ტასო** ვიცი.

**სოსო** აბა, რა არის?

**ტასო** სულის მეგობარი... (პაუზა) სულის მეგობარია!

**სოსო** ჰო, კარგი, ეგრე იყოს!.. ჰო და ეს სულის მეგობარი მე ვპოვე ანეტაში.

**ტასო** რატომ ჩემში ვერა ჰპოვე?

**სოსო** ამასაც გეტყვი. ანეტა მიყვარს არა როგორც ქალი, როგორც, მაგალითად--შენ... მიყვარს როგორც ამხანაგი, ნათესავი, მეგობარი... იგი მამხნევებს, ენერგიას მმატებს, მუშაობაში მშველის...

**ტასო** ეხლა რას აპირებ?

**სოსო** რისას?

**ტასო** ეგრე უნდა განაგრძო?

**სოსო** ეგრე!

**ტასო** მერე მე?

**სოსო** შენ·რა!

**ტასო** (ცრემლი ერევა) არ შემიძულებ, არ მიმატოვებ?!

**სოსო** არა, მერწმუნე!.. მე თქვენგან იმდენად დავალებული ვარ, სინდისი არ მომცემს ამის ნებას .. მხოლოდ ნუ ეჭვიანობ!.. ნუ მიშხამავ სიცოცხლეს!

**ტასო** მეც არ მინდა ვიეჭვიანო, მაგრამ ეს ოხერი გული ვერ მოვასვენე!..

**სოსო** ხომ გჯერა, რაც გითხარი?!. ყველაფერში გამოგიტყდი... ეხლა, შენც დამშვიდდი.

**ტასო** ვეცდები!..

**სოსო** ჰო და ეგრე! შენ ეხლა დარბაისელი ქალი ხარ და არც შეგშვენის ასე ბავშური ქცევა.

**ტასო** (გულდაწყვეტილი) კარგი, ვნახოთ!.. მე უნდა წავიდე... ბაზარში საქმე მაქვს... (გადის)

**სოსო** (მარტო ოთახში გაივლის, მაგიდას მიუჯდება და გაზეთს ათვალიერებს).

**ა ნ ე ტ ა.**

**ანეტა** (ფეხის ცერებზე შემოვა. კარებთან გაჩერდება) სოსო, ხომ არ დაგიშლი?

**სოსო** (მხიარული წამოიჭრება) ანეტა, შენა? მოდი, მოდი!.. კარგა მოგგონებივარ!

**ანეტა** გამარჯობა! როგორა ხარ? ნერვები დაიმშვიდე?

**სოსო** განა არა მმართებდა ნერვების აშლა? წარმოიდგინე, რამდენი სითამამე, გამბედაობა, და თუ გნებავს თავხედობაც უნდა გქონდეს ადამიანს, რომ შენი ნაწარმოები გამოსცე და მიუგდო კრიტიკას საჯიჯგნად!?. არა! შენ რომ არა, მე ამას ვერ გავბედავდი!

**ანეტა** განა წავაგეთ რამე?

**სოსო** რომ წაგვეგო?

**ანეტა** წინდაწინვე დარწმუნებული ვიყავ, გავიმარჯვებდით...

**სოსო** რიცა ჟურნალ-გაზეთებში ბეჭდავ შენს ნაწერებს მაშინ სულ სხვაა... კრიტიკა ნაკლებ ყურადღებას გაქცევს... უფრო თამამიც ხარ...

(ფანჯარაში გამოჩნდება ტასო და ისევ იმალება)

**ანეტა** რად მოგითავსებია პირველ გვერდზე ჩემდამი მოძღვნილი ესკიზი?

**სოსო** რაო, გეწყინა?

**ანეტა** არა, მაგრამ...

**სოსო** დეე, ყველამ გაიგოს, რომ ყველაფერი ეს შენის მეოხებით მოხდა... მე ამისი არა მრცხვენია...

**ანეტა** სამაგიეროდ მე მრცხვენია.

**სოსო** (ხელზე ჰკოცნის) რათა, ჩემო კარგო?! განა ადამიანს სიკეთისა უნდა შერცხვეს?!

**ანეტა** კრიტიკით კმაყოფილი ხარ?

**სოსო** მხოლოდ ერთში არ ვეთანხმები... (გაზეთს აიღებს) აი მაგალითათ: „ბ-ნ...ე ნაწერებში წითელი ხაზივით გამოსჭვივის ის აზრი, რომ ქვაკუთხედი ადამიანის ბედნიერებისა არის სიყვარული... რომ იგი ჰქმნის კულტურას და თავისი მსუბუქი ფრთებით წინ მიაქანებს ხელოვნებას... ეს შემცდარი აზრია კულტურაზე, მისი დაწვრილმანება!.. კულტურას ჰქმნის თვით ცხოვრება და ყველაზე ძლიერი ფაქტორი ამ ცხოვრებისა—კაცობრიობაა, ადამიანი“...

**ანეტა** თუ გახსოვს, მე‘ც მაგას გეუბნებოდი.

**სოსო** ჰო, მაგრამ, თუ ასეთია ჩემი შეხედულება?

**ანეტა** შეხედულება უნდა შეეფერებოდეს სინამდვილეს. მაგალითად შენ ამბობ: მწერალს, არტისტს, მხატვარს უნდა უყვარდეს და მხოლოდ მაშინ შეჰქმნის დიად რასმესო... მე დაგისახელებ რამდენიმე ჰენიოსს, რომელთაც არა ჰყვარებიათ, მაგრამ დიდი რამ კი შექმნეს.

**სოსო** ჯერ ერთი—იმ ჰენიოსთა ბიოგრაფია და შინაური ცხოვრება ჩვენ არც ისე დაახლოვებით ვიცით. და რაც ვიცით, განა ჩემს აზრს არ ადასტურებს? რომელ ხანაში შეჰქმნა დიდებულმა რაფაელმა თვისი შედევრი—მადონა? როდის აღწევდა თავის მწვერვალს ჰეტეს მუზა? როდის გრგვინავდა ვაგნერის ჰანგები? როდის თამაშობდა ზეშთაგონებით დიდებული ედმონდ კინი? სიყვარულის ხანაში!! მე არ ვილებ მშრალ მეცნიერებას, რომელსაც ეს გრძნობა ხელსაც უშლის... მე ვქადაგებ ქრისტეს სიყვარულს: ,,გიყვარდესო‘‘ მან სთქვა.., და ყველა რომ შეიყვარო, საჭიროა ჯერ ერთი გიყვარდეს. ადამიანი იბადება წმინდა, სპეტაკი; ამ უმანკოების შესანარჩუნებლად საჭიროა სიყვარული.

**ანეტა** ეხლა სწერ რასმეს?

**სოსო** დავიწყე... დიდი რომანი გამოვა... ამ დღეებში მოვათავებ და წაგიკითხავ.

**ანეტა** არა, მე ველარ წავიკითხავ!..

**სოსო** რათა?

**ანეტა** ხვალ მივდივართ.

**სოსო** (ზარდაცემული) ანეტა!

**ანეტა** სოსო, ნუ იქნები მხოლოდ ბავშვი! (დიდი პაუზა. სოსო სრულიად მოეშვა).

**სოსო** ასე მოულოდნელად... ერთბაშათ!..

**ანეტა** ხომ იცოდი—საზღვარგარედ მივდიოდით?..

**სოსო** არ მეგონა, თუ ასე უეცრად გადაწყვეტდით?. რატომ ადრევე არ მითხარით?

**ანეტა** ვიცოდი შენზე ცუდათ იმოქმედებდა. მე ველოდი ამას და ამას... (გაზეთსა და წიგნს აიღებს) არ მინდოდა ისე წავსულიყავ. შენი ბრწყინვალე გამარჯვება არ მენახა... ეხლა წელში გამაგრებული ხარ... იმუშავე...

**სოსო** აღარა ანეტა... მე მუშაობა იღარ შემიძლია.

**ანეტა** (ცრემლი ერევა) ბავშვი ნუ ხარ!..

**სოსო** ჯვარს როდის იწერთ?

**ანეტა** იმ კვირია... სოფელში, დედასთან...

**სოსო** ეს განშორება... ჩემთვის საშინელებაა!..

**ანეტა** მეც მინდოდა ცოტა ხანი კიდევ დავრჩენილიყავი, შენთან მემუშავნა... შენთან მუშაობით ბევრი რამ შევიძინე... მაგრამ რა ვქნა, სოსო, რეზოს, ვატყობ, კალამი უჩლუნგდება; გამოიფიტა... თუ ეხლავე არ ვუშველე - დაიღუპება.

**სოსო** ეჰ, ანეტა რა დროს!.. რა დროს!..

**ანეტა** რა ვქნა?!. რომ შეიძლებოდეს ორად გავიჭრა?

**სოსო** მეც თქვენთან წამოვალ!..

**ანეტა** არა, არა!.. ღვთის გულისათვის—ეგ არა!

**სოსო** ვიცი, რისი გეშინია, მაგრამ ვფიცავ ჩვენს წმინდა გრძნობას...

**ანეტა** მჯერა!.. მაგრამ მე თვით არა მაქვს ჩემი თავის იმედი... შენ შენებურად გესმის სიყვარული, მე-კი უფრო მიწიერი ვარ... ვერც შენ გაგრძნობინებ ბედნიერებას და რეზოსაც გავაუბედურებ.

**სოსო** ძლიან გიყვარს?

**ანეტა** სიყვარული ერთია, სოსო... მე იგი შენში დავმარხე... რეზო მხოლოდ უფერული განმეორებაა იმისი, რაც უკვე იყო... მას ვუყვარვარ და ეს იწვევს ჩემში მისდამი სიბრალულს... შენი სიყვარული ჩემში არასოდეს არ მოკვდება.— (გულზე დაეყრდნობა და ტირის)

**სოსო** (აღელვებული) ღმერთო... რათა? რათა?! (კულისებში რეზოს ხმა: ,,მადამ ანასტასია, რას ამოფარებიხართ ამ კედელს?.. თქვენს ქმარსა ზვერავთ? მიბრძანდით სახლში! მერწმუნეთ, თქვენთანაც იმასვე იტყვიან, რასაც უთქვენოთ‘‘.

**რეზო და ტასო.**

**რეზო** (ხელგაყრილი ტასო თითქმის ძალით შემოჰყავს) როგორ გეკადრებათ კარს უკან დგომა და ყურის გდება?.. გამარჯობა სოსო! მამილოცავს გამარჯვება!

**სოსო** (ტასოს მისჩერებია. ტასოც თვალს არ აშორებს) ჰმ!

**ტასო** რას მიცქერი?!

**სოსო** გადი აქედან!

**ტასო** არა, აქ მინდა ვიყო! (დაჯდება)

**სოსო** (დიდხანს უცქერის) მაპატიეთ, ღვთის გულისათვის... ზოგჯერ ოჯახური ბედნიერება სტუმრებსაც დაგავიწყებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**რეზო** არაფერია...

**სოსო** მაშ მიდიხართ?

**რეზო** უკვე გითხრა?

**ანეტა** ვუთხარი.

**რეზ.** დიახ, მივდივართ!

**სოსო** მე შენთან ბოდიში უნდა მოვ-ხადო!

**რეზო** რაში?

**სოსო** შენ იცი მე ანეტა...

**რეზო** გიყვარს!.. ვიცი! მერე რა ვუყოთ? ისიც ვიცი, რა გრძნობითაც გიყვარს.

**სოსო** ანეტამ გაალვიძა ჩემში მწერალი, საზოგადო მოღვაწე.

**რეზო** მიხარიან და ამისათვის მეტად მიყვარს იგი... ანეტა ჩვენი, ორთავესი აუზია... დეე, იმადვე დარჩეს.

**სოსო** ჰო, მაგრამ მრცხვენია... შენ ჩემი მეგობარი და...

**რეზო** სიყვარული ჩვენდა უნებურად მოდის...

**სოსო** ხვალ მიდიხართ?

**რეზო** ხვალ!

**სოსო** საზღვარგარეთ?

**რეზო** ჯვარს დავიწერთ და მეორე დღესვე.

**სოსო** (შუაში ჩადგება) მაშ მშვიდობით! წადით, იცხოვრეთ!. გიყვარდეთ ერთმანეთი და იმუშავეთ!.. ბედნიერი ხარ, კარგი ცოლი შეგხვდა... მე რომ შენსავით სულგრძელი ვყოფილიყავ... მაგრამ, დავანებოთ ამას თავი! ეხლა-კი წადით! მე არ გაგაცილებთ... არც სადგურზე მოვალ... მშვიდობით! (რეზოს ჰკოცნის)

**ანეტა** (ტირის. რეზოსაც ცრემლი ერევა)

**სოსო** ანეტა, ნუ, თორემ მეც...

**ანეტა** (თვალებს მოიწმინდავს და ნაზად შუბლზე აკოცებს).

**სოსო** (ნაძალადევის ღიმილით) შუბლზე მკოცნი?! ეს ცუდი ნიშანია!

**ანეტა** სოსო!.. (გულში ჩაეკვრება)

**ტასო** (ველარ მოითმინა და ოთახში შევარდა)

**სოსო** ღამშვიდდი... გეხუმრები... მშვიდობით! (ხელზე ჰკოცნის)

**რეზო** (ხელს მოხვევს) კარგია, ანეტა, დამშვიდდი!.. სირცხვილია ატირებული ქუჩაში გახვიდე. (გადიან)

**სოსო** (კარებამდე მიაცილებს. გაჩერდება და უყურებს, მერე ფანჯარაში იცქირება. ცრემლები ახრჩობს. დიდხანს ასე სდგას. მერე მაგიდას მიუჯდება და ერთ წერტილს მისჩერებია. უცაბედად ხელში რვეული მოხვდება)... ,,პოეტის სული უტოლოდ განიცდის საშინელს ტრაღედიას... იგი ტლუა... საერთო მეჯლისიდან უდაბნოში გარიყული... იგი შუა უდაბნოში სდგას და ეძახის... უხმობს თავის ტოლს... ყვირის, გმინავს, მაგრამ არსაიდან პასუხი, აღარც გამოძახილი‘‘... (თავს ჩაჰკიდებს)

ტ ა ს ო

**ტასო** მადლობა ღმერთს! (დაჯდება და ხელსაქმობს)

რ ი მ ს ი მ ე

**რიმ** (ჭურჭლით ხელში მეორე ოთახში მიდის)

**ტასო** ტსს... ნელა, ხომ ხედავ მუშაობს!

**რიგ.** ჰო, კარგი, ვხედავ მუშაობს!.. გული ნუ გააწყალე!.. (გადის)

ფ ა რ დ ა

**მეორე ვარიანტი**

**რიმ.** (გადის. კულისებში ისმის **გიგოს ხმა**: ,,ეფუ!.. სიძე-ჯან!.. დედი-ღვინო! (შემოდის და კარებთან სკამზე ჩაეკეცება) სიძე-ჯან, გენაცვალე დეპლომში!

**ტასო** (შეუტევს) ჩუმად, შე სასიკვდილევ! მუშაობს!

**გიგ.** (მღერის)... მუშა, მუშა, აღსდეგ!.. (ჩაეძინება)

ფ ა რ დ ა

**მესამე ვარიანტი**

**იაგ.** (კარებში თავს შემოჰყოფს) სობსტვენო ღოვორია, რომ გამლანძღეთ და პანღური ამომკარით დედაკაცებმა... თუ ჩემი გასამრჯელო არ მოგიციათ, ეხლავე პოლიციას მოვიყვან აქა...

**რიმ.** (შემოიჭრება) შენ კიდევ ვერ გასწავლე ჭკვა?!. (ტასო მიეშველება. იაგორას ოთიხში შემოითრევენ და სცემენ. იაგორა ქოლგით იგერიებს. და თან ყვირის): ,,მიშველეთ, მიშველეთ!“

**გიგ.** (ძილში მღერის) მუშა, მუშა აღსდეგ!

**სოსო** (ტანჯვებისაგან სავარძელში მოიკრუნჩხება).

ფ ა რ დ ა

**არჩევანი—რეჟისორს.**

**ვალ. შალიკაშვილი**

# ჩვენი მოღვაწენი

**ივანე პავლეს-ძე როსტომაშვილი**

ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნების წერასა და ბეჭდვას ქართულს მწერლობამ ჰყავს თავისი ერთგული მწერალ-წარმომადგენნი. ასეთ მშრომელთა დასს ეკუთვნოდა იაკობ გოგებაშვილი, ლ. ბოცვაძე, ვ. ალნიაშვილი, რომელიც ადრევე დაიღუპა, მ. დემურია, ან. წერეთლისა და სხ.

მათ შორის ივანე პავლეს-ძე როსტომაშვილს ფრიად საპატიო ადგილი უკავია.

ამას დაწერილ-დაბეჭდილი აქვს 60-მდე ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნი. ივ. როსტომაშვილის სამეცნიერო შრომანი უაღრესად საყურადღებონი არიან მით, რომ იგი სამეცნიერო საგნებს სწერს ქართულის მდაბიურის მარტივის ენით. ამის წიგნები გასაგებია თვით ისეთ მკითხველთათვისაც, რომელთაც ოდნავ შეუსწავლიათ ქართული წერა-კითხვა.

ივ. როსტომაშვილმა გამომცემლობა დაიწყო 1876 წ. პირველად ამან გამოსცა შემოკლებული მარტივი არითმეტიკა. ამ წიგნის შემდეგ ამ მოღვაწის კალამი არ დამცხრალა და მისის სამეცნიერო წერილებით სავსეა ჟურ. ,,მოგზაური‘‘ და სხ. გამოცემანი; პედაგოგიურ ჟურნალებისათვისაც არ მოუკლია თავისი შრომანი.

თამამად ითქმის, რომ იქ, სადაც ქართულ სამეცნიერო სახალხო მწიგნობრობის ისტორიას დაამშვენებენ იაკ. გოგებაშვილი, ლ. ბოცვაძე და სხ. ასეთი, ვიმეორებთ ამათ გვერდით საპატიო ადგილი დაეთმობა ივ. პავლეს-ძე როსტომაშვილსაც.

მე ავსწერე პატივცემულის ივ. როსტომაშვილის მოღვაწეობა დაწერილებით, რაც ცალკე წიგნათ გამოვა და სურათიც ამ წიგნში იქნება მოთავსებული.

**ზ. ჭ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა





**სახელმწიფო თეატრის** საოპერო დასი საგასტროლოდ გაემგზავრა ბათომს და, როგორც იქმნა, სერიოზულ ოპერებს მოკლებული ბათომის საზოგადოება ეს ერთი კვირაა ეზიარება თბილისის სახელმწიფო თეატრის საოპერო დასის მიერ დადგმულ ოპერებს. ლოტბარობს ფალიაშვილი და კორშონი, რეჟისურა ალ. წუწუნავასი. პირველად 11 ივლისს დაიდგა ოპერა „აბესალომ და ეთერი". ოპერის დადგმას საზეიმო ხასიათი ჰქონდა. დაესწრო აუარებელი საზოგადოება, რომელიც ოვაციებს უმართავდა მომღერლებს. შემსრულებლებიც კარგები იყვნენ. რეჟისურა ხომ ზედმიწევნით კარგი, რამდენად ბათომის რკინის თეატრის ვიწრო და ღარიბი სცენა უწყობდა ხელს. 12 ივლისს დაიდგა კომიკური ოპერა ვ. დოლიძისა „ქეთო და კოტე". ამ დიდმა და კარგმა ანსამბლმა ეს ოპერაც ზედმიწევნით კარგათ შეასრულა და დამსწრე საზოგადოება აცინა. ოვაციები გაუმართეს ავტორს, რომელიც ამ საღამოს შემთხვევით დაესწრო.

13 ივლისს დაიდგა „სევილიელი დალაქი" და „თავადი იგორი". 14 ივლისს—ოპერა „დემონი". 15 და 16—მიდის კვლავ „ქეთო და კოტე" და „აბესალომ და ეთერი" საზოგადოების თხოვნით.

**Г. В—скій**

---

**დუშეთის თეატრი.** ზამთრის განმავლობაში ამ უკანასკნელ ხანამდე დუშეთი თეატრალურად მეტად ცოცხალი იყო. მართალია წინადაც იმართებოდა ხოლმე წარმოდგენები, მაგრამ იშვიათად; ხოლო მას შემდეგ კირაც დუშეთის მაზრის გამომძიებლად მიხ. ხერხეულიძე დაინიშნა, საქმე გაცხოველდა. მისი ინიციატივით ხელახლად შესდგა და შეერთდა ორ ბანაკად გაყოფილი სცენის მოყვარეთა წრე, რომელსაც ხერხეულიძემ მოაწვევინა მსახიობქალი მარგ. ქილარჯიშვილი... წრეს რეჟისორ-ხელმძღვანელობდა თვით ხერხეულიძე. იანვრიდან დღევანდლამდე თითქმის მუდამ კვირა იმართებოდა წარმოდგენები სახალხო ფასებში. წარმოდგენილ იქმნა: „პატარა კახი", „დედა და შვილი", „ძუნწი", „უბედური ნაბიჯი", „სოფლის ფერშალი", „დედა", „ალების ცეკვა", „უბედური", „წარსულის ნანგრევებზე", „რაც გინახავს ვეღარ ნახავ", „გამცემი", „ლოკოკინა" და მრავალი სხვა თითო მოქმედებიანი დრამა-ვოდევილები. ყველა წარმოდგენას აუარებელი ხალხი ესწრებოდა და მეტად ნასიამოვნებიცა რჩებოდა. ხერხეულიძის მუშაობას მით უფრო აფასებდნენ, რომ შვიდი თვის განმავლობაში გასამრჯელო ერთი კაპეიკიც არ აუღია. ამ უკანასკნელ ხანს კი, როდესაც იგი გამომძიებლად სხვა მაზრაში გადაიყვანეს, ამხანაგებმა გაუმართეს ბენეფისი, რომლის დროსაც წარმოდგენილ იქმნა დ. ერისთავის „სამშობლო". დუშეთისათვის ეს მეტად ახალი და ძნელად მისალები ხილი იყო, მაგრამ მოზღვავებული ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგანაც ყველა სცენის მოყვარე მეტად გულიანათა და ალტაცებით ასრულებდა თავის როლს, ბენეფიციანტის სასიამოვნოდ... აქ ხერხეულიძემ მიიღო დიდძალი თაიგულები და დიდი—მშვენიერი ლენტი წარწერით: „ნიშნად ღრმა პატივისცემისა—ქალთა წრისაგან..." ამის შემდეგ გაიმართა მრავალრიცხოვანი გამოსამშვიდობებელი ნადიმი, რომელზედაც უანგარო მუშაკს ყველა დაწესებულება მადლობით იხსენიებდა...

უეჭველად უნდა აღინიშნოს, რომ დუშეთის სცენაზე მართლაც სერიოზული ძალები მოიძებნებიან: მარ. ალექსიშვილისა, ოლ. მოზდოკელი, ნ მახალდიანისა, ნ. ამირიძე, ა. აბაშიძე. დ. კობიაშვილი, მ. ელიაშვილი, გ. მანდენოვი, ივ. მეზვრიშვილი და სხვანი... გადაჭრით ითქმის, რომ ეხლა მათის დახმარებით რთული და სერიოზული პიესების დადგმა შესაძლებელია. ეს დამტკიცდა—„ქართველი დედის", „უბედურის", „უბედური ნაბიჯის", „სამშობლოს" და სხვა წარმოდგენებით... დღეს დუშეთს ახალი თეატრი აქვს; მშვენიერ დარბაზად გადაკეთდა სამხედრო კლუბი და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხერხეულიძის წასვლის შემდეგ სცენის მოყვარენი მუშაობას არ შესწყვეტენ და კვლავ განაგრძობენ ხალხის გათვითცნობიერებას...

**მოკეთე**

---

**ქუთაისის** რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა კლუბის „ხელოვნება"-ს დაარსების დღიდან აქ შესდგა მუდმივი ქართული დრამატიული დასი, ნიჭიერი ძალებისაგან. ყოველ-კვირას იმართებოდა წარმოდგენები, ხალხი ყოველთვის ბლომად ესწრებოდა. ამ წლის მაისის ბოლოს გათავდა საზამთრო სეზონი, რის შემდეგ თითოეულ სცენის მოყვარეს უმართავენ საბენეფისო წარმოდგენას. 11 ივნისს პ. მურღულიას საბენეფისოდ წარმოადგინეს „კრეჩინსკის ქორწილი" კომ. 3 მოქ. პასამ უნაკლოთ ჩაიარა. მეტათ კარგნი იყვნენ პ. მურღულია (კრეჩინსკი), მ. ნემო (რასპლიუევი), ქ. ნ. სირბილაძე (ლიდოჩკა) და შავგულიძე (ნელკინი). საერთოდ ეს სამი ახალგაზრდა სასცენო ძალა: მურღულია, შავგულიძე და ნ. სირბილაძე) დიდ იმედებს იძლევა მომავლისათვის. 18 ივლისს გაიმართა კ. შავგულიძის საბენეფისოდ „სიმდიდრის მსხვერპლი" 4 მოქ. და ვოდევილი „მე თუ არა, შენც არა". დრამათ არაჩვეულებრივათ ჩაატარეს, მეტად მოხდენილად თამაშობდა ნ. სირბილაძე (თამრო), რომელმაც დიდი სასცენო ნიჭი გამოიჩინა. თუ სცენაზე მუშაობა განაგრძო ძალიან ადრე გახდება ჩვენი სცენის სიამაყედ. შესაფერი მოხდენილობით ჩაატარეს როლები კ. შავგულიძემ (დათიკო), მურღულიამ (გიორგი); მათ მხარს უმშვენებდენ ქ-ნ ტ. ჩარკვიანი (ალექსანდრე) და მ. ნემო (ზახარ ზახარიჩი). სამწუხაროთ დედის როლში ძალიან მოუსუსტებდა ქ. მუმულია, უმჯობესია შემდეგში აღარ მოკიდებდეს ხელს მოხუცებულ ტიპების განსახიერებას და უფრო შესაფერს გამონახავდეს. წარმოდგენას ხალხი ბევრი დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა. მეტადრე ძალიან გაამხიარულა ხალხი ვოდევილმა, რომელიც აგრეთვე კარგათ ჩატარდა. აღსანიშნავია ნ. სირბილაძე (მარო) კ. შავგულიძე (გოგია) და მურღულია (უტვინოშვილი).

**მ. მგალობლიშვილი**

---

**დ. მარტვილში** ექვს თვეზე მეტია, რაც ადგილობრივმა ინტელიგენციამ დაარსა დრამატიული საზოგადოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თავდაპირველად ბევრ ტეხნიკურ დაბრკოლებასთან მოუხდა შეჯახება ახალ საზოგადოებას, მაგრამ მიუხედავად ამისა, გამოყო თავის წრიდან რეჟისორები და გამგეობა, მაინც შეუდგა მოვალეობის ასრულებას.

პირველად დადგმულ იქნა აკაკის „პატარა კახი", რისთვისაც სცენის მოყვარენი დიდხანს ემზადებოდნენ, რათა პროვინციელი ხალხი ჩაეთრია ხელოვნების ტაძარში, და სიმართლე უნდა ითქვას, ამ პირველმა წარმოდგენამ როგორც მხატვრულისა, ისე ტეხნიკურის მხრივ მოლოდინს გადააჭარბა.

შემდეგ მას მოყვა ზედი-ზედ დრამები და კომედიები: „სიკვდილი ჩრდილოეთში", ,,ლურჯი ხალათი'', ,,ბედმა მილალატა'', ,,უმარილის ბრალია'' და სხ... ყველა, რასაკვირველია, საქველმოქმედო მიზნით.

მონაწილენი ხშირად ლაქის უქონლობისა გამო გუმერაბიკს ხმარობდენ, პარიკის ნაცვლად—ცხვრის ამყრალებულ მატყლისა, და, რასაკვირველია, ასეთ პირობებში, დიდი სიყვარულით და ენერგიით უნდა იყოს მოთამაშენი აღჭურვილნი, რომ მოვალეობა პირნათლად შეასრულონ.

უკანასკნელად წარმოდგენილი იქნა სამეგრელოში კარგად ცნობილი პიესა ,,და-ძმა''. ამისთვისაც დრამ. საზოგადოება დიდხანს ემზადებოდა, და ამით აიხსნება ის, რომ ამ პიესამაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე საზოგადოებაზე.

შემდეგ ეს პიესა დადგმული იქნა იმავე საზოგადოების მიერ მეზობელ სოფელში, სადაც წარმოდგენამ ცოტათი მკრთალად ჩაიარა, ვინაიდან მონაწილეებს წინასწარი რეპეტიცია ვერ მოუსწვრიათ.

ვიმედოვნებთ, რომ თბილისის დრამ. საზოგ-ება დახმარებას გაუწევს პიესების მიწოდებით თუ სხვა რამეთი ამ ახლად დაარსებულ ხელოვნების ტაძარს.

აქვ. ფარულავა

——

**ახალციხის** თეატრ ,,რიმა''-ში მეათე ათასეულის კულტ.-გან. სექც. ჯარის-კაც სცენის მოყვარეებმა მაისის 1 წარმოადგინეს: ,,რაც გინახავს, ველარ ნახავ''. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოკარნახის ხმას.

საუცხოვოდ შეასრულა ავეტიქა ალაზნისპირელმა, (კოჭლამაზიშვილმა); მას სამსახიობო ნიჭი ეტყობა, საპატიო სახელსაც მოიხვეჭს, თუ შრომა განაგრძო და მსახიობთა მძიმე უღელი დაიდგა. (დაწერილი აქვს პიესა და ლექსები) აღსანიშნავია აგრეთვე ი. ხუციშვილის, ს კვეზერელის, ა. ხითარიშვილის, ნ. ფეიქრიშვილის, ე. მაისურაძის, ტერ-გაბრიელოვის, მამაჯანოვის, ტაბიძის და ლადოშვილის დაკვირვებით შესრულება.

ხალხი ნაკლები დაესწრო (ამ დღეს სხვაგანაც იყო გასართობი). შემოსავალი გადაიდო ათასეულის სამკითხველო—ბიბლიოთეკისათვის, რომელიც ახლათ დაარსეს.

მეათე ათასეულის სცენის მოყვარეთა წრემ მერამდენჯერმე .გამართა წარმოდგენა როგორც განსაკუთრებით ჯარის-კაცთათვის, ისე მოქალაქეებისათვისაც.

ჩვენ მოქალაქენი დიდის სიხარულით მივეგებეთ ამ ფრიად სიმპატიურ საქმეს და რითაც შეგვიძლია მუდამ დავეხმარებით ჩვენს ძმებს—ჯარის-კაცებს, ოღონდ მათში არ დაქრეს ის ანთებული ლამპარი, რომელიც დღეს ანათებს..

დიდის მადლობის ღირსნი არიან ჯარის-კაცნი სტუდენტი ი. ხუციშვილი, და ა. კოჭლამაზიშვილი, რომელთაც დიდი შრომა მიუძღვით ამ დარგში და ჩვენს ჯარში ბევრი სწავლა-განათლების შუქი.

მესხი პავლე გურგენიძე

——

**ნაძალადევის მუშათა კლუბში** ივნისის 26 რეჟისორ ბერიშვილის საბენეფისოდ დასდგეს ია ეკალაძის ორიგინალური პიესა „ნომერი № 21 ჯვრ." ეს პიესა სცენის მოყვარეებმა რამდენჯენმე წარმოადგინეს ნაძალადევმუშტაიდის კლუბებში. და სიამოვნებით უნდა ავღნიშნო, რომ ნიჭიერმა და დაკვირვებულმა, ზოგიერთმა სცენის მოყვარეებმა, სავსებით შეითვისეს და შეისწავლეს იგი. ეს უნდა დაუმადლოთ ბ. ბერიშვილს, რომელიც როგორც მოსკოვის სამხატვრო თეატრის მოწაფე, იმ აზრისაა, რომ ერთი პიესა რამდენჯენმე განმეორდეს თუ, ანტრეპრენიორი ან საზოგადოება, რომელიც ხელმძღვანელობს თეატრს, დაინტერესებულია იმაში, რომ მსმენელს მისცეს მთლიანი სურათი დამუშავებული პიესისა. ჩვენდა საუბედუროთ, ჩვენი საზოგადოება, ჯერ-ჯერობით ვერ შესჩვევია ამას. ქართველ საზოგადოებას უნდა ყოველი დღე ახალი პიესა და თუ იგი ცუდათ დადგმულ—წარმოდგენილი ნახო, ლანძღავს რეჟისორს და პიესის აღმასრულებელთ.

ამ მხრით ბ. ბერიშვილმა ივნისის 26-ს გაიმარჯვა. პიესამ კარგიდ ჩაიარა. ბ. ლითანიშვილი კოვზირიძის როლში კარგი იყო. მან სავსებით შესძლო პარტიის გულწრფელ მუშაკ კოვზირიძის განსახიერება. ახალგაზრდა სცენის მოყვარეს ეტყობა ნიჭი და უნარიც. ლითანიშვილის არ აქვს შკოლა გავლილი და ის ამას გაივლის. თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ ის არამთუ ასეთ პატარა სცენაზე, არამედ უფრო დიდ სცენაზედაც თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს.

ბ. ფრანგიშვილი სუსტი ლეონ-ბერგი იყო. მადლობის ღირსია ბ. კაციაშვილი, რომელმაცა აამეტყველა მიმიკით მუნჯი და ავტორისაგან დავიწყებული პარტიის ბელადი და ხელმძღვანელი თევდორე პატრიაშვილი. კარგი ყარდამიანი იყო ბ. პავლიაშვილი. მაჭავარიანის ასულს განოს როლში არაუშავდა. მობენეფისეს მიართვეს მრავალი საჩუქარი.

ტენორი.

——

**ოზურგეთში** ჯარის კაცთა და გვარდიელთა საგარნიზონო უნივერსიტეტის დარბაზში ივნისის 5 გაიმართა უფასო წარმოდგენა, მთელი გარნიზონის ჯარისა და გვარდიის ნაწილები დაესწრო. დ. ჭანტურიშვილის უახლოეს ხელმძღვანელობით ადგილობრივ დამსახურებულ სცენის მოყვარეების და გვარდიელების მონაწილეობით დადგმულ იქნა ,,და-ძმა''. წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა. შეუდარებელი იყო ქ-ნი ც. წუწუნავა (მარინე), დინჯი, დარბაისელი, დაკვირვებული და ყოველგვარ ზედ-მეტ მანჭვას მოკლებული—პირდაპირ განასახიერება ავტორის მიერ დახატულ ტიპისა. მოხდენილად ჩაატარა თავის როლი ქ-ნ. ნ. თოთიბაძისამ (გადია). ზედმიწევნით განასახიერეს ნაკისრი როლები დ. ჭანტურიშვილმა (გაიოზ), ბ. მალულარიამ (ოტია) და მოწაფე ღლონტმა (გიორგი). და სხ. დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდენ. სასიხარულოდ უნდა აღინიშნოს რომ დარბაზში საუცხოვო წესრიგი იყო. მაყურებლებზე წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. იგივე პიესა განმეორებულ იქნა მეორე დღეს 6

ეროვნული ბიბლიოთეკა



ივნისს, საზოგადოებისათვის ფასით. წარმოდგენამ მწყობრათ ჩაიარა მადლობის ღირსია სექციის გამგეობა კარგი თეატრის მოწყობისათვის სასურველია ხშირათ იმართებოდეს წარმოდგენები—რაც ჯარში კარგ გავლენას იქონიებს ზნეობრივი ამაღლების საქმეში

**ვლ. ლაშისპირელი.**

——

**სოფ. ატენში** (გორის მაზ.) კვირას, ივლისის 11 ა. წ. ადგილობრივ სათემო ერობის და რაიონის სახალხო გვარდიის თაოსნობით, გორის ახალგაზრდა სცენის მოყვარეთა მონაწილეობით გაიმართა წარმოდგენა ატენის ხეობაზე დახოცილ გვარდიელების ოჯახების სასარგებლოდ. სცენა მოწყობილ იყო ღია ჰაერზე. წარმოდგენილ იქმნა ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“. მომქმედმა პირებმა საუცხოვოდ შეასრულეს კუთვნილი როლები, რამაც ხალხზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს პირველი წარმოდგენაა ატენში, დრამატიულ ხელოვნების ყველა წესების დაცვით დადგმული, რასაც აშკარად ემჩნეოდა ხალხის სიმპატიები ხელოვნებისადმი. სოფ. ატენში არ არსებობს რაიმე კულტურულ-გამანათლებელი დაწესებულება, გარდა სკოლისა და ამიერიდან, იმედია, ხალხის სათავეში ჩამდგარი ერობა, ალჭურვილი სრულის ნდობით, ენერგიულ მუშაკ-მეთაურებით, რაიც სჩანდა ამ წარმოდგენის გამართვის საქმეში, მიაქცევს სათანადო ყურადღებას კულტ.-განმანათლ. დაწესებულების მოწყობას, მით უმეტესს ს. ატენი მიწის ძვრისაგან დანგრეული ამ ჟამად იგეგმება და ხელოვნების ტაძარს მიეცემა საპატიო ალაგი. წარმოდგენის გათავებისას გორ. ახ. სც. მოყვარეთა წრე ატენის საზოგადოებამ დააჯილდოვა მხურვალე ტაშით და ნობათის მირთმევით. ამის შემდეგ ხალხი კმაყოფილი დაიშალა.

**იასონი.**

——

**ქ. ბორჯომის** პარკის თეატრში „მუშათა გუნდის კონცერტი“ გაიმართა. გუნდმა შეასრულა ხალხური სამხმიანი და ევროპიული სიმღერები: ქართული ჰიმნი, მარსელიოზა, ვაშა, ვაშა! ლაჟვარდ ცაზე, სამშობლო და სხვა იყო სოფლური სურათებიც. ამ სურათებში ძალიან კარგი იყო „ძლიერ-სტიროდა.“ ვაშას საზღვარი არა ჰქონდა. საუკეთესოთ შეასრულეს დუეტი „მაშ გამარჯვება“ თვით ლოტბარმა და მისმა მეუღლემ. „ბროლის ყელსა სამჯერ გაამეორებინეს. საერთოდ ლოტბარს ეს მუშები საუცხოვოდ ჰყავს მომზადებული. ვაშა ლოტბარს ილია გოძიაშვილს, რომ ესეთი ენერგია დაუხარჯავს ამ მუშების მომზადებაში; ვაშა თვით მომღერლებს, რომელნიც ასე ძმურათ, და სრული დისციპლინით ასრულებენ თავიანთ ლოტბარის მოწოდებას. უფრო ყურადსაღებია ის, რომ აქ მუშებს არ დავიწყებიათ თავიანთი ამხანაგები როგორც გვარდიელები ისე ჯარის კაცები. ადრევე შეუტყობინებიათ, დღეს ჩვენ კონცერტი გვაქვს და მობრძანდით, არა უმეტესორმოცდა ათი კაცისა უფასოდ. მით უმეტეს საქებურია ასეთი საქმე, რომ აქ ჯარსა და გვარდიაში არ არის მოწყობილი კულტურული მუშაობა, თუმც ნაბიჯები გადადგმულია. დასასრულ ულოცავ მათ ასეთ მხიარულს გამარჯვებას

**დამსწრე სტუმარი??**

——

**სოფ. ზემო-გომის** კავშირის თეატრში მაისის 26 ალსანიშნავად ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან ქ-ნ თ. აფხაზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნა „სიყვარულის მსხვერპლნი“ 4 მოქ. ხელმძღვანელობდა ადგილობრივი სცენის მოყვარე შ. მაჭარაშვილი (ასრულებდა ლევანის როლს შესაფერისად). თ. აფხაზიშვილმა ნათლად დაგვიხატა მწუხარე დედა, რომლის წინაც მოკლული შვილი დევს. მოხდენით შეასრულეს მ. ნაზარიშვილმა (თავადი დიმიტრი), ლ. დავითაშვილმა (გლეხის ბიჭი) და კ. ხერხეულიძემ. სასიხარულოა, პროვინციის ამ მხრივ წინსვლა, მაგრამ ის კი სამწუხაროა, რომ სცენა ღარიბია დეკორაციების მხრივ, სცენა პატარაა, უჭირთ თავისუფალი მოქმედება. დარბაზში არის ელექტრონი, პროექტორი (ეკუთვნის კოოპერატივთა კავშირს), რომელიც ყოველ შაბათ კვირე უჩვენებენ სურათებს, აქვთ პიანინო და სხვა. საერთოდ ეტყობათ მეცადინეობა და წინსვლა. ვუსურვებ ხელმძღვანელ შ. მაჭარაშვილს და ყველა სცენის მოყვარეებს, რომ ემუშავნოთ ენერგიულათ ჩვენს ნორჩ დემოკრატიულ რესპუბლიკაში. საზოგადოება, როგორც ადგილობრივი ისე მოსულნი ახლო სოფლებიდგან, ნასიამოვნები დარჩნენ და საკმარისიც დაესწრო შემოსავლის მეტი ნაწილი გადაეცემა ფრონტის დამხმარე კომიტეტს.

**დამსწრე**

# ანგარიში

ჭიათურის დრამატიული საზოგადოებისა 1 იანვრიდან 1919 წ. 1 ივნისამდის 1920 წ.

**ქონებრივი მდგომარეობა** 1 ივნისს 1920 წ.

**აქტივი**

| | | |
|---|---|---|
| 1. ნაღდი ფული სალაროში . . . . . . . | 25.825 | 03 |
| 2. სახელდახელო ანგარიშზე ჭიათ. ს. ს ბანკში | 1 | 51 |
| 3. მოვალეთა მართებსთ საზოგადოების . . . | 76.920 | „ |
| 4. ავეჯეულობა—დეკორაციები . . . . . . | 2.600 | „ |
| 5. გარდერობი. . . . . . . . . . . . . . | 221 | 52 |
| 6. რეკვიზიტი, საპირფარეშო მოწყობილობა . | 666 | 81 |
| 7. ბიბლიოთეკა, პიესები და როლები . . . | 1.107 | 69 |
| 8. მამულ. მრეწ. საბჭოს მიერ გადმოცემულია (ხომაშურიძისეული) . . . . . . . . | 4.000 | „ |
| ბალანსი. | 111.342 | 56 |

**პასსივი**

| | | |
|---|---|---|
| 1. თანხა ასანაზღაურებელი ყოველწლიურ გაცვეთა-წახდენისა . . . . . . . . . | 3.076 | 52 |
| 2. სახალხო სახლის ფონდი (კოოპერ. შემოწ.) | 20.000 | „ |
| 3. საზოგადოების ქონება . . . . . . . | 88.266 | 04 |
| ბალანსი | 111.342 | 56 |

გამგეობის თავმჯდომარე **ის. ვარაზაშვილი**

გამგეობის წევრნი: **ილ. თევზაია, ი. პეტრიაშვილი და თ. ახათიანი.**

**საერთო ბრუნვა შემოსავალ-გასავლისა** 1 იანვრიდან 1919 წ. 1 ივნისამდის 1920 წ.

**შემოსავალი**

ნაშთი 1 იანვარს 1919 წ.

| | | |
|---|---|---|
| 1. სალარო . . . . . . . . . . . . . . | 893 | 03 |
| 2. საწევრო გადასახადი . . . . . . . . | 137 | „ |

| | | |
|---|---|---|
| 3. წარმოდგენების გამართვით | 47.599 | „ |
| 4. საღამოს გამართვით | 25.972 | 20 |
| 5. დარბაზის გაქირავებით | 5.492 | „ |
| 6. შემოწირულებანი | 29.233 | „ |
| 7. დუქნის ქირა | 36 | „ |
| 8. დაბრუნებული სესხი | 7.420 | „ |
| | 116.782 | 23 |

**გასავალი**

| | | |
|---|---|---|
| 1. ჯამაგირები და გასამრჯელო | | |
| ა. დარაჯს | 4.500 | |
| ბ. სცენის მოყვარეთ ჯილდო | 2.620 | |
| გ. მოწვეულ მსახიობთ | 17.000 | |
| დ. გარდერობის გამგეს | 2.000 | |
| | 26.150 | „ |
| 2 შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ანგარიშში სახლის ქირა 1 ივნის. 1914 წ. 1 ივნის. 1920 წ. პ. აბაშიძეს | 5.760 | „ |
| 3. სახლის ქირა, იჯარები, გათბობა და განათება | 10.026 | „ |
| 4. საპირფარეშოს, რეკვიზიტის და გარდერობ. ხარჯ | 4.199 | 50 |
| 5. დარბაზის და სცენის შეკეთება | 11,188 | 50 |
| 6. წარმოდგენების ხარჯები | 1.557 | 20 |
| 7. პიესების, როლების და საკანც. ნივთ. შეძ. | 650 | „ |
| 8. დახმარება სცენის მოყვარეთ | 2.000 | „ |
| 9. ქ. ქალთა წრეს ხვედრი პროც. ანგარიშში | 3.500 | „ |
| 10. სესხი სხვადასხვა პირებს | 18.520 | „ |
| 11. წვრილმანი ხარჯები | 4.228 | „ |
| 12. გორის ფონდის სასარგებლოდ 10 პროც. გადახდილი | 3.118 | „ |
| | 90.957 | 20 |
| ნაშთი 1 ივნისს 1920 წ. | 25.825 | 03 |
| | 116.782 | 23 |

**შემოწირულებათა ანგარიშები და ფონდი**

საანგარიშო წლის განმავლობაში შემოვიდა:

| | | |
|---|---|---|
| · კოოპ. „ჩვენი ოჯახისაგან“ სახალხო სახლ. ფონ. | 20.000 | „ |
| შემოწირულება: | | |
| 2. კოოპ. „ჩვენი ოჯახისაგან“ | 2.000 | „ |
| 13. ევსევი თოდუასაგან | 500 | „ |
| 4. კ. მასხარაშვილისაგან | 100 | „ |
| 5. ალ. გრიგორაშვილისაგან | 1.000 | „ |
| 6. საქ. ცენტრ. კოოპერ. კავშირისაგან | 5.000 | „ |
| 7. ილია კაკაბაძისაგან | 500 | „ |
| 8. სხვადასხვა პირთაგან | 133 | „ |
| | 29.233 | „ |

# გადაუდებელი საკითხი

იმ დროს, როდესაც ჩვენი მელპომენა ძალების მხრივ დიდ კრიზისს განიცდის, რუსეთში მომწყვდეულნი არიან ქართველი ხელოვანნი, რომელნიც დღეს გაამშვენიერებდნენ ჩვენის ხელოვნების ტაძარს.

ესენი არიან: ა. სუმბათაშვილი, მჭედლიშვილი, კ. მარჯანიშვილი, მესხიშვილი (ასული ლადოსი), სიხარულიძე, დოგონაძე; მოცეკვავენი: გამსახურდია, ჩერქეზიშვილი და მრ. სხ. აგრეთვე სამეცნიერო ძალებიც: პრ. გიორ. წერეთელი, მარრი, და სხ.

ყველა ზემოაღნიშნულმა უკვე განიცადა ბოლშევიკების „მფარველობა“, მათებური „სოციალიზმის“ მშვენიერებანი და ესწრაფვიან სამშობლოსკენ, რომ ვალი მოიხადონ მის წინაშე.

მაგრამ ბოლშევიკები იმდენ სტუმართ მოყვარეობას იჩენენ, რომ ყველგან კარები ჩაუკეტეს და შიმშილის სიკვდილი ემუქრისთ მათ, თუ არსად არ გაჩნდა ხსნა. შეიძლება პოლიტიკურ მძლევლადაც გახადონ.

ბოლშევიკების პოლიტიკასთან ხომ სტოლიპინიც კი ქიანჭველად მოსჩანს.

ამ ორი კვირის წინედ ჩვენმა განათლების სამინისტრომ აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა ჩვენი, ყველა საზოგადო მოღვაწე რუსეთში მყოფნი, გადმოასახლოს საქართველოში.

საჭიროა ვისარგებლოთ ჩვენი დღევანდელი დამოკიდებულებით ბოლშევიკებთან და დროზე შევიფაროთ ჩვენი თანამამულენი, თორემ რა გარანტიაა იმისა, რომ მათაც არ დაბრალდესთ გენ. მაყაშვილისებური „კონტრ-რევოლიუციონერობა“ და ჰუსეინოვ-პანკრატოვებისთანა ჯალათების ხელში არ ჩავარდნენ?

ბოლშევიკებმა ხომ ისარგებლეს შერიგებით და ჩვენი ციხეებიდან გამოიხსნეს თვისი მომხრენი?..

ჩვენმა მეცნიერ-ხელოვანებმა რაღა დააშავეს?

სვ. წერეთელი

# გამომცემლობა ქართული ბეჭდვითი ამხანაგობისა

აცხადებს, რომ იგი შეუდგა წიგნების გამომცემლობას და აწარმოებს ამ საქმეს ფართო მასშტაბით.

**უკვე გამოვიდა გასასყიდათ:**

1) Красная книга (რუს. ენ.) ჟარიბისა.
2) ნოე ჟორდანიას თხზულებათა II ტომი.

**იბეჭდება და მალე გამოვა:**

1) ახალი დროის ისტორია პროფ. ს. ავალიანისა.
2) ბუნების სარკე I ნაწ. ივ. ელიაშვილისა.
3) მსოფლიო ისტორია I, II და III ნაწილი სახალხო სკოლებისათვის ალ. წერეთლისა.
4) ბოტანიკა სეით იაშვილისა.
5) ევროპა (გეოგრაფია) მისივე.
6) ქართული ლიტერატურა მე 18 და მე 19 საუკუნეში 16 წიგნათ გ. ჯავახიშვილისა.
7) თხზულებანი შიო არაგვისპირელისა 5 წიგნათ.
8) არითმეტიკულ ამოცანათა კრებული I ნაწილი მთელი რიცხვები I კლასის კურსი **ს. დათეშიძისა**
9) ბოტანიკა **არკ. ჩხენკელისა**
10) ბუნება I ნაწ. მისივე

წიგნების საწყობი მოთავსებულია ამხანაგობის კანტორასთან (რუსთაველის პროსპექტი № 26), საიდანაც შეიძლება გამოცემათა დაკვეთა და მიღება.

**გამომცემლობას აქვს საკუთარი სტამბა და საკაზმავი, სადაც სრულდება ყოველგვარი საქმე ჩქარა, სუფთად** და **ხელმისაწვდომათ.** (10—5).

რედაქტორი იოსებ იმედაშვილი

გამომცემელი ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა

სტამბა ქართული ბეჭდვითი ამხანაგობისა, რუსთაველის პრ., № 26